# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ცრუობით და ჭორებით ხალხის გაცდენა ყველა უპატიოსნობაზე უსაძაგლესია.

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

ოთხშაბათი, 20 მარტი. 2024 წ. №33 (9713) ელ.ფოსტა: sakresp@top.ge და sakresp@mail.ru | ფასი 1 ლარი


მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე



## ქართული ანბანის ფარული ლათინიზაცია

...ერთ-ერთი ყველაზე გაუნათლებელი თაობა მსოფლიოს 81 ქვეყანას შორის საქართველოშია, უძველესი წიგნიერებისა და კულტურის ქვეყანაში!

SOS!

ქართულ ანბანთან ერთად საქართველოც კვდება!!!

იხ. 5 გვ.



ო, ენავ, ჩემო!..

ირაკლი გოგავა:

4

## მაკკეინს კოვზი ნაცარში ჩაუვარდა და... 2008 წელს ლიად ნაკბინა მიშას!

## ქართული ხმების „წუთისოფელი“ დედაუნივერსიტეტში

7

## სამთავროს უნიკალური კომპლექსის რესტავრაცია წარმატებით გაგრძელდება



⊙ წკეპლიკა

8

## უმისოდ რად იმღერეთა?!

ზურაბ ცუცქირიძე

## „შეიძლება ვირის თავი ორაგულად გასაღდეს“

6



„ხალხის ძალის“ თავმჯდომარე სოზარ სუბარი:

3

## 2008 წლის ომი იყო სამშობლოს ღალატის უპრეცედენტო აქტი!

# ირაკლი კობახიძე: გვჭირდება ცოდნაზე დაფუძნებული, ინოვაციური ეკონომიკა




**მინდა, მივულოცო ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოს 10 წლის იუბილე, ეს ძალიან მნიშვნელოვანი თარიღი,** – ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა, ირაკლი კობახიძემ ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოს 10 წლის იუბილესთან დაკავშირებით გამართულ ღონისძიებაზე სიტყვით გამოსვლისას განაცხადა.

მთავრობის მეთაურმა სააგენტოს საქმიანობაზე ისაუბრა და აღნიშნა, რომ მიღწეული შედეგები შთამბეჭდავია.

**„ცოდნაზე დაფუძნებული, ინოვაციური ეკონომიკის განვითარებას ჩვენი ქვეყნის წინსვლისათვის განსაკუთრებული, ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს. მნიშვნელოვანია ის საქმიანობა, რომელსაც ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო საქართველოში ინოვაციური ეკოსისტემის ფორმირებისთვის ახორციელებს. სააგენტოს ათწლიანი საქმიანობის შედეგები შთამბეჭდავია. საგრანტო პროგრამების ფარგლებში, დაახლოებით, 38 მილიონი ლარით დაფინანსდა გლობალური მასშტაბის პოტენციალის მქონე 200-ზე მეტი ინოვაციური სტარტაპი. შედეგად, ბენეფიციარებმა დააგენერირეს ნახევარი მილიარდი ლარის ოდენობის კერძო ფინანსური სარგებელი და, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, შექმნეს 3 ათასი ახალი სამუშაო ადგილი. დამეთანხმებით, ეს არის ძალიან შთამბეჭდავი შედეგები. სააგენტოს მხარდაჭერით, საქართველოში შემოვიდა მსოფლიოს ტოპ 3-ში შემავალი აქსელერატორი „500“. საერთაშორისო დონის აქსელერაციის პროგრამაში, რომელსაც იგი ახორციელებს, ქართულთან ერთად, საერთაშორისო სტარტაპებიც მონაწილეობენ. ეს ფაქტი საქართველოს, როგორც რეგიონული ინოვაციური ჰაბის როლს უსვამს ხაზს. აქსელერაციის პროგრამის შედეგად 2022 წელს საქართველოში შეიქმნა პირველი კერძო ვენჩერული ფონდი 20 მილიონი დოლარის კაპიტალით.**

**საქართველოს მასშტაბით შეიქმნა ცხრა ტექნოპარკი, რომელიც ერთი ფანჯრის პრინციპით უზრუნველყოფს ინოვაციური იდეების მქონე მოქალაქეების დახმარებას სხვადასხვა პროექტის განხორციელებაში. წელს მეათე ტექნოპარკი ქუთაისში გაიხსნება“,** – აღნიშნა პრემიერმა.

## ცესკოს ჩიხურ მდგომარეობაში დატოვება აბსოლუტურად მიუღებელია!

**სალომე ზურაბიშვილსა და რადიკალური ოპოზიციის წარმომადგენლებს უნდათ, რომ ცესკო დარჩეს ჩიხში, რა თქმა უნდა, საპარლამენტო უმრავლესობას ვერ ექნება ეს სურვილი,** – ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა, **ირაკლი კობახიძემ** ჟურნალისტებს განუცხადა.

პრემიერის თქმით, პრეზიდენტის ვეტოს დაძლევა ემსახურება ევროკავშირის ცხრა პუნქტიდან ერთ-ერთის შესრულებას.



**„რაც შეეხება ცესკოს საკითხს, ძალიან მარტივად არის აქ საქმე – დღეს არის ერთგვარი ჩიხი შექმნილი ცესკოში, რადგან წელიწადნახევრის წინ არიან არჩეული ექვსი თვის ვადით ცესკოს მოქმედი თავმჯდომარე, ცესკოს ორი წევრი, ეს არის ერთგვარი ჩიხური მდგომარეობა. ის კანონპროექტი, რომელიც მიიღო პარლამენტმა თავის დროზე – მე, როგორც პარლამენტის წევრი, ვიყავი ჩართული ამ კანონპროექტის შემუშავებაში – ითვალისწინებს ჩიხიდან გამოსვლას. ცესკო, არ შეიძლება, დარჩეს ჩიხში. სალომე ზურაბიშვილს და რადიკალური ოპოზიციის წარმომადგენლებს უნდათ, რომ ცესკო დარჩეს ჩიხში, რა თქმა უნდა, საპარლამენტო უმრავლესობას ვერ ექნება ეს სურვილი, აქედან გამომდინარე, ბუნებრივია, ვეტოს დაძლევას ალტერნატივა არ აქვს. ჩვენ ვერ დავტოვებთ ცესკოს ჩიხურ მდგომარეობაში. ეს არის აბსოლუტურად მიუღებელი, რათა შესრულდეს ევროკავშირის ცხრა პუნქტიდან ერთ-ერთი, რომელიც უკავშირდება საქართველოში თავისუფალი, სამართლიანი, გამართული არჩევნების ჩატარებას, ამიტომ აუცილებელია ამ ვეტოს დაძლევა. ამ ვეტოს დაძლევა ემსახურება ევროკავშირის ცხრა პუნქტიდან ერთ-ერთის შესრულებას“,** – განაცხადა **პრემიერმა.**

## საპატრიარქომ უნდა შეძლოს საკუთარი პროექტების განხორციელება!

**ჩვენთვის მნიშვნელოვანია, რომ საპატრიარქომ შეძლოს საკუთარი პროექტების განხორციელება, განსაკუთრებით საგანმანათლებლო სფეროში. აქედან გამომდინარე, არსებობს 25-მილიონიანი საერთო დაფინანსება, მაგრამ ამის მიღმა, ჯერ კიდევ შარშან, წლევანდელ ბიუჯეტში ჩაიდო 30-მილიონიანი ასიგნება, რომელიც ხმარდება საპატრიარქოს საგანმანათლებლო პროექტებს და ეს დაფინანსება გაიზარდა დამატებით ხუთი მილიონით,** – ამის შესახებ პრემიერ-მინისტრმა, **ირაკლი კობახიძემ** ჟურნალისტის მიერ დასმული კითხვის პასუხად განაცხადა.

მისივე თქმით, ყველაფერი არის გამჭვირვალე და საუბარია რამდენიმე ათეული საგანმანათლებლო დაწესებულების დაფინანსებაზე.

## დავით ხიდაშელს არავითარ საიდუმლო ინფორმაციაზე ხელი არ მიუწვდებოდა!

**დავით ხიდაშელთან დაკავშირებით თავდაცვის სამინისტრომ გაავრცელა ინფორმაცია, სადაც ძალიან მკაფიოდ ეწერა, რომ დავით ხიდაშელს არავითარ ინფორმაციაზე, მით უმეტეს, საიდუმლო ინფორმაციაზე წვდომა არ ჰქონია,** – ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა, **ირაკლი კობახიძემ** ჟურნალისტებს განუცხადა.

პრემიერის თქმით, ხიდაშელთან იყო გარკვეული შრომითი ურთიერთობა, რომელიც შეწყდა თებერვლიდან.

**„მე როგორც ვიცი, დავით ხიდაშელთან დაკავშირებით თავდაცვის სამინისტრომ გაავრცელა ინფორმაცია. თავდაცვის სამინისტროს მიერ გავრცელებულ ტექსტში ძალიან მკაფიოდ ეწერა, რომ არავითარ ინფორმაციაზე, მით უმეტეს, საიდუმლო ინფორმაციაზე წვდომა არ ჰქონია დავით ხიდაშელს. ჩვენ ვართ პასუხისმგებლები საკუთარ გადაწყვეტილებებზე. საბოლოო ჯამში, გვქონდა მსჯელობა ამ თემასთან დაკავშირებით. იყო გარკვეული შრომითი ურთიერთობა, რომელიც შეწყდა თებერვლიდან. აქ საუბარი იყო იმაზე, რომ ეს ადამიანი დაახლოებულია ევტუშენკოვთან, რომელიც არის ბაიდენის ოჯახთან დაახლოებული პირი და არა მგონია, აქ რაღაც სპეკულაციის საფუძველი იყოს. ამერიკამ არ დაასანქცირა იმის გამო, რომ არის მჭიდრო კავშირში ამერიკულ პოლიტიკურ ელიტასთან, მათ შორის, ბაიდენის ოჯახთან. შესაბამისად, აქ სპეკულაციები, მე მგონი, ზედმეტია“,** – განაცხადა **პრემიერმა.**

## ნატო-საქართველოს პარტნიორობა მაღალ დონეზეა!

**ნატო-საქართველოს პარტნიორობა არის მაღალ დონეზე. რა თქმა უნდა, გავაგრძელებთ მჭიდრო თანამშრომლობას,** – ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა, **ირაკლი კობახიძემ** ჟურნალისტებს განუცხადა.

პრემიერის თქმით, დიდი ოპტიმიზმის საფუძველს იძლევა ის შეხვედრები, რომელიც შედგა ალიანსის გენერალურ მდივან იენს სტოლტენბერგთან.

**„18 მარტს გვქონდა არაჩვეულებრივი შეხვედრები ბატონ სტოლტენბერგთან. შემდეგ ვახშმის რეჟიმშიც მეგობრულად გავაგრძელეთ საუბარი ყველა იმ თემაზე, რომელიც უკავშირდება ნატო-საქართველოს პარტნიორობას. ნატო-საქართველოს პარტნიორობა არის მაღალ დონეზე. რა თქმა უნდა, გავაგრძელებთ მჭიდრო თანამშრომლობას, ვეცდებით, კიდევ უფრო მეტად გავაღრმაოთ ეს ურთიერთობები. ძალიან დიდი ოპტიმიზმის საფუძველს იძლევა ის შეხვედრები, რომელიც შედგა ბატონ სტოლტენბერგთან“,** – განაცხადა **პრემიერმა.**

## რატომ მალავდა USAID-ი, რომ პარალელური დათვლის შედეგები იყო მცდარი?

**ISFED-ს აქვს ნულოვანი ნდობა ქართველი ხალხის მხრიდან და როდესაც ასეთი ნულოვანი ნდობის ორგანიზაციები არის ძირითადი დასაყრდენი დაკვირვების დროს, ეს არის ძალიან სამწუხარო. თუმცა, სამწუხარო ისიც არის, რომ არათუ ISFED-ი, თავად USAID-ი იყო ჩართული 2020 წელს პარალელური დათვლის მცდარი შედეგების გავრცელებაში და ეს თავად USFED-მაც აღიარა,** – ამის შესახებ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე **შალვა პაპუაშვილმა** ჟურნალისტებს განუცხადა.

მისი თქმით, **USAID**-მა არათუ არ უთხრა ხელისუფლებას და ქართველ ხალხს, რომ პარალელური დათვლის შედეგები იყო მცდარი, არამედ პირდაპირ მალავდა. მისივე თქმით,**USAID**-ს დღემდე არ გაუკეთებია განმარტება, მათ შორის იმასთან დაკავშირებით, ეს აშშ-ის საელჩოსთვის თუ იყო ცნობილი.

**„სამწუხაროდ, ამის შემდეგ, მიუხედავად იმისა, რომ მე პირადად არაერთხელ ამ საკითხს ხაზი გავუსვი და მოვუწოდე, დღემდე არ მოგვისმენია USAID-ის განმარტება, რასთან გვქონდა საქმე 2020 წლის ნოემბერ-დეკემბერში; ის თანამშრომლები, რომლებიც, ზოგი აღარ არის უკვე საქართველოში, რატომ მალავდნენ ამ ინფორმაციას და მეორე – ვინ იცოდა USAID-ის გარდა, იყო თუ არა ეს ცნობილი საელჩოსთვის, ელჩისთვის, რომელიც მაშინ ფასილიტაციაში იყო ჩართული. საინტერესოა, პარალელური დათვლის შედეგები, რომელსაც ძირითად არგუმენტად აყენებდა ოპოზიცია და რომელსაც აფუძნებდა მთელ ამ ყალბ, რევოლუციურ ნარატივს, ამის შესახებ იყო თუ არა ცნობილი საელჩოში, ვისთვის იყო ცნობილი საელჩოში, USAID-ის თანამშრომლებისთვის, საელჩოს თანამშრომლებისთვის, თუ ვისთვის.**



**დღემდე, სამწუხაროდ, USAID-მა ქართველი ხალხი არ ჩათვალა ღირსად, რომ განმარტება გააკეთოს ამასთან დაკავშირებით. რა ვიცი, ბოდიშის მოხდაც არ იქნებოდა ცუდი სხვათა შორის, მაგრამ განმარტება გააკეთო, რასთან გვქონდა საქმე, რამდენად დაინტერესდნენ ამით, შიდა მოკვლევა იყო თუ არა ამასთან დაკავშირებით, ვინ იცოდა და თუ იცოდა ვინმემ, რატომ არ ეუბნებოდნენ ამას ქართველ ხალხს და ერთი თვე რატომ იყო აქ არეულობა, რატომ იყო თავდასხმა ცესკო-ზე, რატომ ტარდებოდა აქციები, როდესაც საფუძველი იყო აბსოლუტურად ყალბი“,** – განაცხადა **შალვა პაპუაშვილმა.**

## ანაკლიის პორტის მშენებლობა ივნისში დაიწყება

**ანაკლიის პორტზე გეგმა არის უკიდურესად კონკრეტული, მაისში დასრულდება პროცედურები, რაც ტენდერთან არის დაკავშირებული,** – ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა, **ირაკლი კობახიძემ** ჟურნალისტებს განუცხადა. როგორც პრემიერმა აღნიშნა, ივნისში დაიწყება უკვე სამუშაოები.

**„დაახლოებით ორი წელი დასჭირდება პირველ, ძირითად ფაზას. რაც შეეხება პირველ გემს და ა.შ. მთავარია ჩვენთვის, პირველი ფაზა ორ წელიწადში წარმატებით დასრულდეს. ამაზე არის მთლიანად კონცენტრირებული ჩვენი მუშაობა“,** – განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

# „ხალხის ძალის“ შოკისმომგვრელი სიმართლე!

## პოლიტიკური პარტია „ხალხის ძალის“ თავმჯდომარედ სოზარ სუბარი აირჩიეს

საზოგადოებრივი მოძრაობა „ხალხის ძალა“ პოლიტიკურ პარტიად გარდაიქმნა.

პოლიტიკური პარტიის, „ხალხის ძალის“ დამფუძნებელი ყრილობა პარტიის წევრმა, დეპუტატმა ეკა სეფაშვილმა გახსნა, რომელმაც შეკრებილ საზოგადოებას სიტყვით მიმართა და აღნიშნა, რომ ყრილობის მიერ არჩეული იქნება ყრილობის თავმჯდომარე, მდივანი, პარტიის ხმის დამთვლელი კომისია, განისაზღვრება პარტიის სახელწოდება და დამტკიცდება პარტიის წესდება. ასევე, არჩეული იქნება პარტიის სარევიზიო კომისია.

ეკა სეფაშვილმა ყრილობის დელეგატების წინაშე პარტიის დამფუძნებელი რვა წევრის (დიმიტრი ხუნდაძე, მიხეილ ყაველაშვილი, გურამ მაჭარაშვილი, ვიქტორ ჯაფარიძე, გაალ მიქელაძე, ეკა სეფაშვილი, ირაკლი (დაჩი) ბერაია, დავით კაჭარავა) წარდგინებით პარტიის თავმჯდომარეობის კანდიდატად სოზარ სუბარი დაასახელა.

სოზარ სუბარი ყრილობამ ერთხმად აირჩია.



## სოზარ სუბარი: 2008 წლის ომი იყო სამშობლოს ღალატის უპრეცედენტო აქტი!

**მალე ორი წელი შესრულდება, რაც „ხალხის ძალა“ პოლიტიკურ ასპარეზზე გამოვიდა. ორი წლის წინ, როცა რუსეთი უკრაინაში შეიჭრა, დაიწყო წარმოუდგენელი ზეწოლა საქართველოს ხელისუფლებაზე, რომ ჩვენი ტერიტორიიდან მეორე ფრონტი გაგვეხსნა რუსეთის წინააღმდეგ. ერთადერთი, ვისაც ამ უმძიმესი სცენარის თავიდან აცილება შეეძლო, ქართველი ხალხი იყო. ამისთვის კი ხალხს უნდა სცოდნოდა, თუ რა ხდებოდა პოლიტიკურ კულუარებში,** – ასე მიმართა პოლიტიკური პარტიის, „ხალხის ძალის“ არჩეულმა თავმჯდომარემ, **სოზარ სუბარმა** 18 მარტს პარტიის დამფუძნებელ ყრილობაზე შეკრებილ დელეგატებს.

სოზარ სუბარი შეკრებილ საზოგადოებას პარტიის დაფუძნების მიზეზებზე, ამოცანებსა და სამომავლო გეგმებზე ესაუბრა. მთავარ ამოცანად მან საზოგადოების ინფორმირება დაასახელა და ხაზგასმით აღნიშნა, რომ პოლიტიკური ბრძოლის ახალ ეტაპზე ჩვენი სამშობლოს და ხალხის მიმართ ჩადენილი დანაშაულებისთვის „ნაციონალური მოძრაობის“ და მისი თანამზრახველი უცხოური აგენტურის გასამართლება იქნება პოლიტიკური პარტია „ხალხის ძალის“ ერთ-ერთი მთავარი ამოცანა.

**„ჩვენ ხალხს ვუთხარით სიმართლე, რომელიც შოკის მომგვრელი იყო რადიკალური ოპოზიციის სახელს ამოფარებული უცხოური აგენტურისა და მათი პატრონებისთვის, სამაგიეროდ, სრულიად გასაგები და მისაღები აღმოჩნდა ქართველი საზოგადოებისთვის. პოლიტიკის ანბანაა, რომ ნებისმიერი ქვეყანა, უპირველეს ყოვლისა, თავისი ინტერესებით მოქმედებს. სხვა ქვეყანაში საკუთარი ინტერესების გატარება კი ყველაზე ადვილი მაშინ არის, თუ ამ ქვეყნის სათავეში საკუთარ აგენტურას მოიყვან.**

**სწორედ საქართველოს ხელისუფლებაში მყოფი აგენტურის მოღალატურმა პოლიტიკამ გამოიწვია 2008 წლის ომში საქართველოს ჩართვა და, შედეგად, როგორც მაშინ სალომე ზურაბიშვილმა ამ ტრაგედიას უწოდა, საქართველოს ტერიტორიების „გეგმიური“ ჩაბარება რუსეთისთვის. 2022 წელსაც ამ აგენტურას ჰქონდა დავალებული საქართველოში მეორე ფრონტის გახსნა და ამიტომ ცდილობენ დღესაც ასე დაჟინებით თავიანთი აგენტების ხელისუფლებაში მობრუნებას მათი პატრონები.**

**სწორედ ამ აგენტურის მოღალატური პოლიტიკის გაგრძელება იყო ევროსაბჭოს რეზოლუცია, რომელსაც „ნაციონალურმა მოძრაობამ“ მოაწერა ხელი. ამ რეზოლუციაში ჩაწერეს, რომ ომი საქართველომ დაიწყო, ხოლო ჩვენს ჯარისკაცებს და ოფიცრებს დააბრალეს, თითქოს მათ დაარღვიეს საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი და ადამიანის საყოველთაო უფლებები“,** – განაცხადა **სუბარმა.**

სოზარ სუბარის განცხადებით, დღეს „ხალხის ძალა“ იწყებს პოლიტიკური ბრძოლის ახალ ეტაპს.

**„კიდევ ერთხელ გავიმეორებ – 2008 წლის ომი იყო სამშობლოს ღალატის უპრეცედენტო აქტი. ჩვენ აუცილებლად გამოვიძიებთ ამ ღალატს და დამნაშავეები პასუხს აგებენ ქართველი ხალხის წინაშე. თუ არ გვეცოდინება სრული სიმართლე ამ ომის შესახებ, ძნელია ველაპარაკოთ ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრებ ჩვენს თანამემამულეებს – აფხაზებსა და ოსებს; ძნელია ვილაპარაკოთ ნდობის აღდგენაზე და გადავდგათ რეალური ნაბიჯები ჩვენი უმთავრესი ოცნებისა და საზრუნავის, ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისკენ.**

**საქართველო ვერ გახდება სამართლებრივი სახელმწიფო, თუ არ შევაფასებთ „ნაციონალური მოძრაობის“ მიერ ადამიანის უფლებების ტოტალურ დარღვევებს, ადამიანების წამების, მკვლელობისა და საკუთრების წართმევის სისტემურ დანაშაულებს, და ბოლოს, თუ არ შევაფასებთ 2008 წლის ომში ქვეყნის ჩაბმას და ომის ზონაში მყოფი მშვიდობიანი მოსახლეობის მიტოვებას, რასაც ასეულობით ჩვენი მოქალაქის მსხვერპლი მოჰყვა. ეს არის დანაშაული, რასაც სხვა სახელს, გარდა სამშობლოს ღალატისა, ვერ ვუწოდებთ. მხოლოდ აგენტურის გასამართლების შემთხვევაში შევძლებთ, საბოლოოდ დავძლიოთ რადიკალიზმი და ე.წ. პოლარიზაცია და შევქმნათ გრძელვადიანი გარანტია საქართველოს სუვერენიტეტის დაცვისთვის.**

**სანამ „ნაციონალური მოძრაობა“ და მისი ყველა თანამზრახველი არ გასამართლდება, მანამდე ამ ქვეყანაში მშვიდობის, სტაბილურობის, ეკონომიკური კეთილდღეობის, დეოკუპაციის და ეროვნული ინტერესების ბოლომდე გატარება ერთიორად გართულდება. ჩვენ დღეს ვიწყებთ პოლიტიკური ბრძოლის ახალ ეტაპს და ამ ეტაპზე ჩვენი სამშობლოს და ხალხის მიმართ ჩადენილი დანაშაულებისთვის „ნაციონალური მოძრაობის“ და მისი თანამზრახველი უცხოური აგენტურის გასამართლება იქნება ჩვენი ერთ-ერთი მთავარი ამოცანა.**

**ამ ბრძოლაში აუცილებლად გავიმარჯვებთ, გაიმარჯვებს ქართველი ხალხი და გაიმარჯვებს საქართველო. კიდევ ერთხელ დიდი მადლობა გამოცხადებული ნდობისთვის“.**



## ანაკლიის საზღვაო ნავსადგურის მშენებლობისთვის საერთაშორისო ტენდერი გამოცხადდა

**მსოფლიო ბანკის შესყიდვის პროცედურების მიხედვით, ანაკლიის პორტის საზღვაო ინფრასტრუქტურის პროექტირებისა და სამშენებლო სამუშაოების განხორციელებისთვის საერთაშორისო ტენდერი გამოცხადდა,** – ამის შესახებ აღნიშნულია ეკონომიკის სამინისტროს მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

სამინისტროს განცხადებით, სატენდერო დოკუმენტაცია ე.წ. „დიდი ოთხეულის კომპანიებს“ (Boskalis, DEME, Jan De Nul, Van Oord) დაეგზავნათ. აღნიშნულ კომპანიებს საზღვაო სამუშაოების პროექტირების და წარმოების მდიდარი გამოცდილება გააჩნიათ. მნიშვნელოვანია, რომ პორტის საზღვაო სამუშაოების დიდი წილი მოდის ფსკერის დაღრმავებაზე, ხოლო აღნიშნული კომპანიები გლობალური დაღრმავების (დამღრმავებელი) ფლოტის 80%-ს ფლობენ.

**„სამუშაოების შესყიდვის სატენდერო დოკუმენტაციის ევროპულ კომპანიებთან („დიდი ოთხეული“) დაგზავნის მიზანშეწონილობა საერთაშორისო საკონსულტაციო კომპანია HAEDES B.V.-თან კონსულტაციის შედეგად გამოიკვეთა. აღნიშნული კომპანია შპს „ანაკლიის საზღვაო ნავსადგურმა“ სამუშაოების დროულად, საიმედოდ და მაღალი ხარისხით შესრულების, ტექნიკური დავალების მომზადებისა და შემდგომში წარმოდგენილი წინადადებების შერჩევა-შეფასების მიზნით დაიქირავა.**

**აღნიშნული შესყიდვისთვის გამოყენებული იქნება ერთეტაპიანი შესყიდვის პროცედურა, ლიმიტირებული საერთაშორისო საბაზრო მიდგომების გამოყენებით. მოწვეულმა პრეტენდენტებმა სატენდერო წინადადებები უნდა წარმოადგინონ ტექნიკური და ფინანსური მიმართულებით.**

**გამარჯვებულად გამოვლინდება წინადადება, რომელიც დააკმაყოფილებს მოთხოვნებს/შერჩევის კრიტერიუმებს და ექნება ჯამური (ტექნიკური წინადადების ქულას პლუს ფინანსური წინადადების ქულა) უმაღლესი ქულა.**

**სატენდერო დოკუმენტაციასთან დაკავშირებით დამაზუსტებელი კითხვების დასასმელად და კონკურენტუნარიანი სატენდერო წინადადებების მოსამზადებლად (წარმოსადგენად) მონაწილეებს 45-დღიანი ვადა მიეცათ. პრეტენდენტების მიერ წარმოდგენილი წინადადებების ტექნიკურ და ფინანსურ ნაწილში შეფასებას უზრუნველყოფს შპს „ანაკლიის საზღვაო ნავსადგურის“ მიერ სპეციალურად შექმნილი სატენდერო კომისია, საერთაშორისო კონსულტანტებთან ერთად.**

**ანაკლიის პორტის პროექტის განხორციელება ხელს შეუწყობს ათასობით ახალი სამუშაო ადგილის შექმნას, ადგილობრივი მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას, საქართველოზე გამავალი სატრანსპორტო დერეფნის კონკურენტუნარიანობის ზრდას, საქართველოს ტერიტორიის გავლით ახალი ტვირთნაკადების მოზიდვას, ასევე ნავსადგურის მიმდებარედ, წარმოებისა და ლოჯისტიკური სერვისების განვითარებას“,** – აცხადებენ სამინისტროში.

## პოსტსაბჭოთა სივრცეში ყველაზე ძვირი ბენზინი საქართველოსა და სომხეთშია!

**გლობალური მონაცემთა ბაზა Numbeo, რომელიც მსოფლიოში სამომხმარებლო ფასებს სწავლობს, მსოფლიოს 95 ქვეყანაში ბენზინის ფასის რეიტინგს აქვეყნებს.**

**Numbeo-ს მონაცემებით, ყველაზე ძვირი ბენზინი ჰონგ კონგში, ფინეთსა და ნიდერლანდებშია. შესაბამისად, ჰონგ კონგში 1 ლიტრი ბენზინი 3$ (7.95 ლარი) ღირს, ფინეთში – 2.21$ (5.86 ლარი); ნიდერლანდებში – 2.16$ (5.72 ლარი); მსოფლიოს მასშტაბით ყველაზე იაფი 1 ლიტრი ბენზინი ლიბიაშია და 0.03$ (8 თეთრი) ღირს.**

**საქართველო ბენზინის სიძვირის მიხედვით ქვეყნების რეიტინგში 63-ე ადგილზეა და 1 ლიტრი ბენზინის საშუალო ფასი 1.18$-ია (3.13 ლარი). პოსტსაბჭოთა სივრცეში საქართველოზე იაფია ბენზინი უზბეკეთში (69-ე ადგილზეა და ფასი 1$-ია – 2.65 ლარი); ბელარუსში 78-ზე (0.78$ – 2.07 ლარი), აზერბაიჯანში 82-ზე (0.61$ – 1.62 ლარი), რუსეთში 84-ზე (0.58$-1.54 ლარი), ყაზახეთში 88-ზე (0.51$ – 1.35 ლარი).**

**საქართველოზე ძვირია ბენზინი – უკრაინაში (49-ე ადგილზეა და 1.37$ ღირს), სომხეთსა 58-ზე (1.23$), და თურქეთში 59-ზე (1.22$).**

**„ხალხის ძალა“, საპარლამენტო არჩევნებამდე, 2008 წლის აგვისტოს ომის გამოძიების დაწყების ინიციატივით გამოდის. მათ არქივის დამუშავების შემდეგ აღნიშნეს, რომ საქართველოში 2008 წლის აგვისტოში მოხდა, არა მაშინდელი ხელისუფლების ავანტურა, არამედ ეს იყო შეგნებული ნაბიჯი. აღსანიშნავია, რომ „ნაციონალურმა მოძრაობამ“ ხელისუფლებაში ყოფნის დროს სრულად გააქრო 2008 წლის აგვისტოს დღეების სატელევიზიო არქივი, თუმცა, საკუთარი დანაშაულის მტკიცებულებები ბოლომდე მაინც ვერ გაანადგურა.**

**დამუშავდა მასალები, სადაც დასტურდება, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ 2008 წელს გლობალური ომის პარტიის დაკვეთით მოქმედებდა. აგვისტოს ომის გამოძიებას ითხოვს პოლიტოლოგი, საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალისტი ირაკლი გოგავა, რომლის განცხადებით, ეს იყო უსერიოზულესი დანაშაული, რომელიც ჩაიდინა სააკაშვილმა.**

# ირაკლი გოგავა: მაკკეინს კოვზი ნაცარში ჩაუვარდა და... 2008 წელს ღიად წაკბინა მიშას!





## სააკაშვილმა ამერიკელი რესპუბლიკელების და დემოკრატების საჯილდაო ქვად აქცია ქვეყანა

**– ბატონო ირაკლი, „ხალხის ძალა“ ითხოვს 2008 წლის აგვისტოს ომის გამოძიებას, ამტკიცებს, რომ ეს იყო სააკაშვილის ხელისუფლების ავანტიურა ქვეყნის წინააღმდეგ. ბატონო ირაკლი, როგორ ფიქრობთ, რატომ მოხდა ქვეყანაში 2008 წლის აგვისტოს 5-დღიანი ომი?**

– 2008 წლის აგვისტოს ომი იყო უსერიოზულესი დანაშაული, რომელიც სააკაშვილმა ჩაიდინა. აშკარად იკვეთება ის ფაქტი, რომ ამისთვის მზადება მიდიოდა. ნახეთ თავდაცვის სამინისტროს ბიუჯეტი როგორ იზრდებოდა 2006-07-08 წლებში - რამდენიმე ასეულობით გაიზარდა – მიდოდა უზარმაზარი შესყიდვები. ანუ, სააკაშვილი ამზადებდა ჯარს სამხედრო ოპერაციისთვის. გარდა ამისა, არის ასეთი მოსაზრება, რომ ამ ომის წარმოება იყო **ჯონ მაკკეინის** ინტერესებში.

**– რას გულისხმობთ?**

– 2008 წელს საპრეზიდენტო არჩევნები იყო აშშ-ში, სადაც რესპუბლიკელი მაკკეინი უპირისპირდებოდა დემოკრატების კანდიდატ ობამას. 1 აგვისტოს მონაცემებით ობამა მას უსწრებდა 11%-ით. როგორც კი დაიწყო ომი, ეს განსხვავება შემცირდა 3%-მდე.

**– რატომ?**

– იმიტომ, რომ მაკკეინი ითვლებოდა უფრო ანტირუსად. საქართველო ამერიკის შიგნით გაპიარებული იყო როგორც ჩვენი პარტნიორი ქვეყანა, სააკაშვილი დემოკრატიის შუქურა და ა.შ. მაკკეინი რამდენჯერმე იყო საქართველოში ნამყოფი, მიშასთან სურათებს იღებდა, იძახდა – „მე ქართველი ვარ“! და ა.შ. ანუ, მიბმული იყო საქართველოსთან და შესაბამისად, რახან უფრო ანტირუსი იყო, მისი რეიტინგი გაიზარდა ამ ომის ფონზე. მაგრამ ჰოი, საოცრებავ და ეს ჩვენი „მხედართმთავარი“ აღმოჩნდა ლაჩარი. იფორთხა გორში, ვერ გაქაჩა 5 დღეზე მეტი. მაკკეინს კოვზი ნაცარში ჩაუვარდა და მაშინ ღიად წაკბინა მიშას.

ამას მოჰყვა მერე **ბაიდენი**, რომელიც მაშინ ვიცე-პრეზიდენტი იყო, ჩამოვიდა. სააკაშვილი წაიყვანეს ამერიკაში და საცირკო მაიმუნივით დემოკრატების შეხვედრებზე ატარეს, რომ აი, საქართველოს პრეზიდენტი აგერ, ჩვენს გვერდით არისო. ანუ, სააკაშვილმა რესპუბლიკელების და დემოკრატების საჯილდაო ქვად აქცია ქვეყანა და ცირკის მაიმუნივით ჩაატარეს დემოკრატებმაც. რამი იმანუელმა, რომელიც მაშინ ობამას ადმინისტრაციის უფროსი იყო, სააკაშვილს უთხრა, შენ ეს ომი ჩვენს წინააღმდეგ დაიწყეო. სააკაშვილი თავად ამბობს **დიმიტრი გორდონთან** ინტერვიუში ამის შესახებ და სწორიც იყო. იმიტომ, რომ მართლაც ასე იყო, უბრალოდ, მაკკეინს ვერ გაუქაჩა.

**– როგორ ფიქრობთ, ვინ იყო ამ იდეის ავტორი?**

– ჩემი აზრით, იდეის ავტორი შეიძლება ყოფილიყო რენდი შონემანი, რომელიც იყო მაკკეინის თანაშემწე საერთაშორისო ურთიერთობებში, შემდგომში ის მიშას კონსულტანტიც იყო. საერთოდ შონემანს ახასიათებდა ასეთი ავანტიურისტული გეგმები. ამერიკის არჩევნების ფონზე დაგეგმეს ომი საქართველოში. შედეგად რა მივიღეთ – არ გამოვრიცხავ, რომ ორმაგი ითამაშა მიშამ და კრემლსაც შეუთანხმა. იმათ რატომ არ ესიამოვნებოდათ, როდესაც კოდორის ხეობა ერთი გასროლის გარეშე წაიღეს, იქ ემზარ კვიციანის „მონადირე“ მანამდე სპეცოპერაციით განდევნეს, ახალგორი შეუფუთეს. გამსახურდიას გაუქმებული ჰქონდა ავტონომიური სტატუსი და სააკაშვილმა იურიდიულად აღუდგინა. შედეგად, ერთი გასროლის გარეშე გადასცა რუსეთს ახალგორიც, ისევე როგორც კოდორის ხეობა.

**– რომ დავაკვირდეთ, დანაშაულის მთელი წყებაა, როგორც ომამდე მიმდინარე პროცესები, თვითონ ომი და ომის შემდეგ რაც მოხდა...**

– რა თქმა უნდა, ვიცით, რომ ომის მერე კეზერაშვილმა ძარცვა სახელმწიფო და იარაღის ბიზნესი გააჩაღა. ამერიკაში მაგაზე საქმეც იყო აღძრული, „ეფბიაი“-ს დირექტორი ჩამოვიდა თბილისში საგანგებოდ, მაგრამ თვითმფრინავიდან არ ჩამოვიდა, იქით ეახლა ვანო მერაბიშვილი. ასეთი ვითარება იყო და აგერ, ახლა მაკკეინის ქუჩაც გვაქვს სააკაშვილის წყალობით, მათ შორის ბუშის ქუჩაც! ვისარგებლებ თქვენი საშუალებით და მინდა გავახმოვანო ერთი იდეა – ამას წინათ გარდაიცვალა სახელოვანი ქართველი ფალავანი **ლევან თედიაშვილი**, ყველა ქართველის სიამაყე. გამოვდივარ ინიციატივით და მივმართავ თბილისის საკრებულოს, ყველა თბილისელს ვინც არის ამ საკითხით დაინტერესებული, რომ ჯონ მაკკეინის ქუჩას, რომელსაც მხოლოდ ნეგატიური გავლენა აქვს საქართველოს რეალობასა და ბედზე, გადავარქვათ სახელი და დავარქვათ ლევან თედიაშვილის ქუჩა. ეს იქნებოდა აბსოლუტურად სამართლიანი და ლევანის პატივისცემა. რა თქმა უნდა, ჯონ მაკკეინის ქუჩა საქართველოში არ უნდა იყოს. ეს არის კაცი, რომლის გამო 2008 წელს 8 აგვისტოს სააკაშვილმა შეგვაჯახა რუსეთს.

**– რაც შეეხება საგამოძიებო კომისიის შექმნას, დგას ამის აუცილებლობა?**

– აუცილებლად უნდა შეიქმნას, მაგრამ ეს არ უნდა იყოს „ოცნების“ კომისია, ეს უნდა იყოს საზოგადოებრივი კომისია და საზოგადოებიდან ისეთი ხალხი უნდა იყოს მონაწილე, რომელსაც ენდობიან ადამიანები და საერთოდ, ეს ომი თავიდან არის გამოსაძიებელი. ის, რაღაც პაატა დავითაიას კომისია, რეალურად კი მიშას კომისია, მიშამ თვითონ შექმნა, თითქოსდა დაავალა გამოიძიეთო. მიზანი იყო რა – დაედო დასკვა და შეექმნა ილუზია, რომ გამოძიება ჩატარდა. ეს ომი თავიდან არის გამოსაძიებელი. ასევე, თავიდან არის გამოსაძიებელი 2003 წლის „ვარდების რევოლუციის“ სახელით ცნობილი სახელმწიფო გადატრიალება.

**– რაც შეეხება აფხაზეთის ომს, კითხვები ამ შემთხვევაშიც საკმაოდ ბევრია და მათ შორის აშშ-ის ჩართულობაზე და ინტერესებზე. არ ფიქრობთ, რომ სწორედ აფხაზეთის ომით უნდა დაიწყოს გამოძიება, რომ მივიდეთ 2008 წლის აგვისტოს მოვლენებამდე?**

– მე, ვფიქრობ, საქართველოს პროკურატურას და აფხაზეთის სტრუქტურებს აქვთ უზარმაზარი ინფორმაცია. მაგრამ, თუ ვხედავთ, რომ აფხაზებთან შეიძლება ახლა რაღაცა საკითხების დალაგება და წინ წაწევა კონფლიქტის მოგვარების კუთხით, მაშინ ამ ფონზე ასეთი კომისიის შექმნა არ იქნებოდა მიზანშეწონილი – საფრთხილო საქმეა. მე ვიცი, რომ ეს ყველაფერი დევს, დაფაილებულია, პროკურატურასაც აქვს და აფხაზეთის სტრუქტურებსაც აქვს, ხალხმაც იცის, ცოცხალია ეს ხალხი. მაგრამ თუ ოდნავ მაინც შანსი არის, რომ მშვიდობიანად მოგვარდეს აფხაზეთის პრობლემა, მაშინ ამის ტორპედირება, ჩემი აზრით, შესაძლოა, არ ღირდეს. შესაძლოა, პირიქით, ღირდეს ერთობლივი კომისიის შექმნა აფახაზებთან ერთად. იმიტომ, რომ დანაშაული ჩვენი მხრიდანაც ხდებოდა და აფხაზების მხრიდანაც. მოლაპარაკებების პროცესში შეიძლება არ ღირდეს ამის აწონვა, მაგრამ ერთობლივი კომისია შეიძლება უფრო ჭკვიანური იყოს ამ თვალსაზრისით. ასეთ შემთხვევაში მეორე მხარე არ მოგცემს მოტყუების საშუალებას. რა თქმა უნდა, ეს დახურულ რეჟიმშია გასაკეთებელი, რომ ხალხის ვნებათაღელვა თავიდან ავიცილოთ. ეს ის საკითხია, რომელსაც ემოცია, სისხლი და ცრემლი ახლავს.

ესაუბრა
**თამთა ქარჩავა**

# საბაზრო ეკონომიკის კოშმარი!

## საქართველოში საშუალო ხელფასი 2 044.5 ლარი გახდა

### რომელ სექტორებშია ყველაზე მაღალი ანაზღაურება

**2023 წლის IV კვარტალში საქართველოში საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 15.3 პროცენტით (270.9 ლარით) გაიზარდა და 2 044.5 ლარი შეადგინა.**

საქსტატის ინფორმაციით, საქმიანობის სახეების მიხედვით შედარებით მაღალი ხელფასი დადასტურდა შემდეგ დარგებში: ინფორმაცია და კომუნიკაცია – 4 309.2 ლარი (წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით გაიზარდა 17.3 პროცენტით); საფინანსო და სადაზღვევო საქმიანობები – 3 110.0 ლარი (გაიზარდა 14.1 პროცენტით); მშენებლობა – 3 062.5 ლარი (გაიზარდა 20.8 პროცენტით); პროფესიული, სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობები – 2 920.5 ლარი (გაიზარდა 19.0 პროცენტით).

2023 წლის IV კვარტალში ქალების საშუალო ხელფასი 1 607.3 ლარით, ხოლო კაცების – 2 463.8 ლარით განისაზღვრა. ხელფასების წლიურმა ზრდამ ქალებში 195.6 ლარი (13.9%) შეადგინა, ხოლო კაცებში – 340.7 ლარი (16.0%). საქმიანობის სახეების მიხედვით კაცების ხელფასი ყველა სექტორში აღემატებოდა ქალების ხელფასს.

2023 წლის IV კვარტალში დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიური ხელფასი ბიზნეს სექტორში 285.1 ლარით (14.9%) გაიზარდა და 2 196.2 ლარი შეადგინა. საქმიანობის სახეების მიხედვით ყველაზე მაღალი ხელფასი ინფორმაცია და კომუნიკაციის (4 420.5 ლარი, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით გაიზარდა 17.1 პროცენტით) და პროფესიული, სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობების (3 393.5 ლარი, გაიზარდა 22.4 პროცენტით) სფეროებში დასტურდება.

2023 წლის IV კვარტალში არასამეწარმეო და საფინანსო სექტორში საშუალო თვიური ხელფასი გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 242.7 ლარით (15.9%) გაიზარდა და 1 765.7 ლარი შეადგინა. საქმიანობის სახეების მიხედვით შედარებით მაღალი საშუალო ხელფასი აქვთ საფინანსო და სადაზღვევო საქმიანობებში დასაქმებულებს.



მიტროპოლიტი
ანანია ჯაფარიძე

# ქართულ ანბანთან ერთად საქართველოც კვდება!!!

**საქართველო 81 ქვეყანას შორის 67-ე ადგილზეა წაკითხულის გააზრების მაჩვენებლით – წერს საერთაშორისო პროგრამა „მოსწავლეთა საერთაშორისო შეფასება (PISA)“ .**

PISA – საერთაშორისო გამოკვლევაა, რომელიც სხვადასხვა ქვეყანაში ყოველ სამ წელში ერთხელ აფასებს 15 წლის მოზარდების სწავლის ხარისხს. **PISA** 2022-ს კვლევით ქართველი ბავშვების სასკოლო განათლების დონე ძალზე დაბალია.

ამასთანავე, საზოგადოდ, ქართველი ბავშვების დასწავლის ხარისხი გაცილებით უფრო დაქვეითებულია, ვიდრე საშუალოდ აღებული მსოფლიოს ბავშვთა განათლების დონე. კერძოდ, ამას ასევე აჩვენებს საერთაშორისო ორგანიზაცია „ეკონომიკური თანამშრომლობა და განვითარება“.

15 წლის ბავშვთა განათლების დონით გამოკვლევაში მონაწილე 81 ქვეყანას შორის პირველი ადგილები დაიჭირეს აზიის ქვეყნებმა, სინგაპურმა, ტაივანმა, იაპონიამ და სამხრეთ კორეამ. ევროპის ქვეყნებიდან კი ესტონეთმა, 2018 წლის PISA-ს კვლევით რუსეთმა დაიკავა 31-ე ადგილი, საქართველომ ერთ-ერთი ბოლო ადგილი დაიკავა. როგორც ითქვა, ქართველ ბავშვებს ამ კვლევებით, წაკითხულის გააზრება უჭირთ.

### რა არის ამ საგანგაშო ფაქტის მიზეზი?

**გამოთქმულია მოსაზრება, რომ ამის უმთავრესი მიზეზია 15-16 წლის მოზარდების მიერ მშობლიური ქართული ანბანის ცუდი ცოდნა.**

ქართველ ბავშვებს ქართული ანბანით დაწერილი მასალის წაკითხვა უჭირთ, რადგანაც ისინი, როგორც წესი, „მესიჯობენ“, ანუ ერთმანეთს მოკლე ტექსტურ ქართულ წერილებს ლათინურ-ინგლისური ასოებით უგზავნიან, რაც კარგად აქვთ ათვისებული. ისინი თავიანთ პრაქტიკაში ამ უცხო დამწერლობას იყენებენ, მათთვის ის საკუთარი, ასე ვთქვათ შინაური ანბანია, ხოლო ქართული ანბანი სასკოლო-ოფიციალური გამოყენებისაა. ამიტომაც უჭირთ კიდეც ქართული ანბანით ნაწერი ტექსტის შესაბამისი გააზრება.

**მშობლებისთვის,** 21-ე საუკუნის მთავარ პრობლემას **შვილების** ტელეფონზე დამოკიდებულება წარმოადგენს.

მოკლეტექსტური შეტყობინების სერვისი ანუ SMS +Short Message Service), ფიჭური ტელეფონით მოკლეტექსტური შეტყობინებების გაგზავნა განსაკუთრებით პოპულარულია ახალგაზრდათა შორის.

კვლევამ აჩვენა, რომ “მესიჯობის“ დროს ქართველი თინეიჯერები ძირითადად, არა ქართულ, არამედ ლათინურ შრიფტს იყენებენ, ამასთანავე გრამატიკულ სტანდარტებს არღვევენ, სიტყვებს შემოკლებით, შესაბამისად, შეცდომით წერენ.

საეთაშორისო კვლევით, სკოლაში მოსწავლეებს გრამატიკული ტესტი მისცეს და ჰკითხეს, რამდენად ხშირად „მესიჯობდნენ“. აღმოჩნდა, რომ „მესიჯობის“ სიხშირემ გავლენა მოახდინა ტესტის შედეგზე.

**„მიღებული მონაცემების მიხედვით, ტესტში აღებული ქულა იმაზეა დამოკიდებული, რამდენად ხშირად იყენებენ მოსწავლეები ტექსტურ შეტყობინებებს საურთიერთოდ. უარესი შედეგი იმათ ჰქონდათ, ვინც უფრო ხშირად „მესიჯობს“,** – ამბობს კვლევის ერთ-ერთი ხელმძღვანელი **დრიუ სინგელი**.

საქართველოში კი არა მხოლოდ ქართველი ბავშვები იყენებენ მასობრივად უცხო, ლათინურ შრიფტს ქართული სიტყვების ჩასაწერად, არამედ სახელმწიფო უმაღლესი დაწესებულებებიც კი ქართულენოვან ტექსტებს ლათინური შრიფტით უგზავნიან საქართველოს მოქალაქეებს, მაგალითად ქართულენოვან შეტყობინებებს ლათინური შრიფტით წერს პოლიცია, სამთავრობო საიტი, საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი – 112, დიდი ბანკები (ტბს), წყალმომარაგება და სხვა.

**ამ საკითხს ეხება ჟურნალისტის სტატია https://on.ge/story/52055-მთავრობა-მოქალაქეებს-პირადი-ჰიგიენის-დაცვისა-და-იზოლაციისკენ-სმს-ებით-მოუწოდებს.**

აქ ნათქვამია – **„საქართველოს მოქალაქეებმა მთავრობისგან მოკლე ტექსტური შეტყობინებები მიიღეს, სადაც მათ პირადი ჰიგიენის დაცვისკენ და იზოლაციისკენ მოუწოდებენ. ტექსტი ლათინური შრიფტითაა დაწერილი, რაც, სავარაუდოდ, განპირობებულია იმით, რომ ყველა მოქალაქეს ტელეფონში ქართული ენის მხარდაჭერა არა აქვს.**

**„დაიცავით პირადი ჰიგიენა, აუცილებელი საჭიროების გარეშე არ გახვიდეთ სახლიდან. განსაკუთრებული სიფრთხილე (მართებთ) მათ, ვინც 60 წელს გადაცილებულია. საჭიროებისას დაიცავით თვითიზოლაციის წესები, მაღალი სიცხისას და ხველებისას მიმართეთ ექიმს. გისურვებთ ჯანმრთელობას!“**, – წერია ლათინური შრიფტით დაწერილ მოკლე ქართულ ტექსტურ შეტყობინებაში.




„მესიჯის“ ბოლოს მითითებულია ჯანდაცვის სამინისტროსა და **სპეციალურად კორონავირუსთან დაკავშირებით შექმნილი საიტები.**

როგორც ჟურნალისტი აღნიშნავს, სამთავრობო საიტით მიღებული ქართულენოვანი ტექსტი სავარაუდოდ იმ მიზეზის გამო დაიწერა **ლათინური შრიფტით, რომ** ყველა მოქალაქეს ტელეფონში ქართული ენის მხარდაჭერა არ აქვს.

ვითარების გათვალისწინებით, ვინაიდან ქართული სახელმწიფო ენაა, ამიტომ არა მხოლოდ ლათინური შრიფტით, ქართული მრავალსაუკუნოვანი ანბანის გამოყენებითაც უნდა დაეგზავნოთ მოქალქეებს ქართულენოვანი შეტყობინება.

მაშასადამე შეტყობინება ორი „მესიჯით“ უნდა გაიგზავნოს, როგორც ქართული, ისე ლათინური შრიფტებით. რაც თანამეროვე ტექნიკისთვის სირთულე არაა.

ქართული ანბანის ლათინური შრიფტით ჩანაცვლებას (ანუ ლათინიზაციის მცდელობას) საფუძველი დაედო ბოლშევიკების მმართველობისას მე-20 საუკუნის 20-იან წლებში, კერძოდ, იგეგმებოდა, რომ ქართული სიტყვების ჩასაწერად ქართველებს გამოეყენებინათ არა ეროვნული ანბანი, არამედ ლათინური შრიფტი.

ამ დროს შემუშავდა პროექტები სსრკ-ს ყველა ანბანის ლათინიზაციისა.

1929 წლის 8 აგვისტოს სსრკ-ს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილება **„სსრკ-ს ხალხების ახალი ლათინიზირებული ანბანის შესახებ“** ოფიციალური სტატუსის დოკუმენტად გადაიქცა. დაიწყო ჟურნალების, გაზეთების, გამომცემლობებისა და სასწავლო დაწესებულებების გადაყვანა ახალ ანბანზე.

1930 წლიდან დაიწყო ლათინიზაციის ახალი ეტაპი ყველა ენობრივი ჯგუფების გადაყვანისა ლათინურ ანბანზე.

## ქართული ანბანის ფარული ლათინიზაცია

1923 წლიდან 1939 წლამდე ლათინურის საფუძველზე შეიქმნა ანბანები სსრკ-ს 50 ხალხის ენისათვის, მათ შორის აზერბაიჯანლების, ჩრდილოკავკასიისა და სხვა რეგიონების ხალხებისათვის.

სსრკ-ში ლათინურ ანბანზე იმის გამო გადაიყვანეს სხვადასხვა ეროვნული ანბანები, რათა თანდათანობით მათი ლათინური ანბანები უმტკივნეულოდ შეეცვალათ რუსული ანბანით, ე.წ. კირილიცით.

„Латиницу называли „алфавитом революции“ თავდაპირველად, ანბანების ლათინიზაციას მეთაურობდნენ ლუნაჩარსკი და ლენინი, ლატინიცას უწოდებდნენ „რევოლუციის ანბანს“. იქამდე არსებულ დამწერლობებს კი ეროვნულ ტრადიციებთან აკავშირებდნენ, რომელთა აღმოფხვრა სურდათ.

თუმცა, მიუხედავად იმპერიის უდიდესი ძალისხმევისა, ბოლშვიკებმა ვერ შეძლეს ქართული ანბანის შეცვლა ლათინურით.

ბოლშევიკური ეპოქის ასეთ ურთულეს დროს მე-20 ს. 20-30-იან წლებში ქართული ანბანის დასაცავად თავს დებდნენ და თავს წირავდნენ ქართველი ინტელიგენტები, მეცნიერები და მწერლები, ჯავახიშვილი თუ გამსხურდია და სხვა მრავალი ქართული კულტურული მემკვიდრეობის მცველი პატრიოტი. ეს წარმატება მიიღწა იმ ფონზე, როდესაც საბჭოთა კავშირში 50 ხალხს შეუცვალეს იქამდე არსებული დამწერლობა ლათინურით.

საოცარია, ის რაც ვერ შეძლეს ბოლშვიკებმა უდიდესი იმპერიის ზეობის ჟამს, ხორცი თითქოსდა ესხმება ამჟამად, 21 საუკუნის 20-იან წლებში, ყველას თვალწინ, თუმცა ოფიციალური განცხადების გარეშე, როდესაც უმრავლესობა ვერც კი აცნობიერებს, რომ მიმდინარეობს ქართული ეროვნული ანბანის ფაქტობრივი უარყოფა და მისი ჩანაცვლება ლათინურ-ინგლისური ანბანით, ანუ ლათინიზაცია ქართული დამწერლობისა.

დაუნახაობის გამო, ჩვენი შვილები და საზოგადოებრივი საქვეყნო დაწესებულებები თავიანთ შეტყობინებებსა და წერილებს (ანუ მესიჯებს) ქართველთათვის წერენ არა ქართული, არამედ ლათინურ-ინგლისური ასოებით, რაც გახდა მიზეზი ახალგაზრდების საერთაშორისო წიგნიერი ჩამორჩენისა, როცა ერთ-ერთი ყველაზე გაუნათლებელი თაობა მსოფლიოს 81 ქვეყანას შორის საქართველოშია, უძველესი წიგნიერებისა და კულტურის ქვეყანაში.

2022 წლის საერთაშორისო კვლევით, როგორც აღინიშნა, წაკითხულის გააზრებაში საქართველო 81 ქვეყანას შორის 67-ე ადგილზეა – (PISA-ს კვლევა გამოქვეყნდა 2023-12-05). NAEC-ის ცნობით PISA 2022-ში მონაწილეობდა 81 ქვეყნისა და ეკონომიკის დაახლოებით 690,000 მოსწავლე, რაც საბოლოოდ შეადგენს დაახლოებით 15 წლის 29 მილიონ მოზარდს. საქართველოში PISA 2022 ციკლის საპილოტე კვლევა 2021 წლის მარტსა და აპრილში ჩატარდა და 15 წლის მოსწავლეების 95% მოიცვა.

**საქართველოდან ტესტირებაში მონაწილეობდა 267 სკოლის 6,583 მოსწავლე.**

PISA 2022 წლის ტესტირებისას საქართველოში 15 წლის მოსწავლეების 76% ირიცხებოდა მე-10 კლასში “, – აღნიშნულია NAEC-ის მიერ გამოქვეყნებულ ინფორმაციაში

ამ მონაცემებით საქართველო, ანუ ქართველი ბავშვების ჩამორჩენის ხარისხი უახლოვდება ბოლო ათეულში მყოფ კამბოჯელი, უზბეკი, ასევე – პარაგვაისა და დომენიკის რესპუბლიკების ბავშვთა განათლების დონეს. აღსანიშნავია, რომ აზერბაიჯანი გაცილებით წინ არის ამ კვლევებში.

PISA-ს ტესტების ჩააბარებისას მოსწავლეთა რიცხვი დგინდება თითოეული ქვეყანის მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით.

მკვლევარი აღნიშნავს, რომ ესაა საგანგაშო შედეგები, რომელსაც ვეღარ გამოვასწორებთ“! – საქვეყნო ტრაგედიაა განათლების სისტემისათვის, რომ ქართველ მოსწავლეებს წაკითხულის გააზრება უჭირთ

ჟურნალისტმა აღნიშნა – **PISA-ს ტიპის მასშტაბური და მაღალი კომპეტენციის საერთაშორისო რეიტინგების ანალიზი უკვე გვაძლევს საყურადღებო და სამოქმედო (ACTIONABLE) მასალას. მაგრამ, რეალურად გარღვევითი წარმატებების დასაგეგმად და მისაღწევად განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრომ აუცილებლად უნდა შექმნას მიზნობრივი სამუშაო ჯგუფი – ემპირიული გამოცდილებით, მსგავსი გარღვევები სწორედ თემატური და მიზნობრივი ჯგუფების საქმიანობის შედეგია, ვინაიდან საქართველო 81 ქვეყანას შორის 67-ე ადგილზეა** …




იმ ფონზე, როდესაც ქართულ შრიფტს ლათინურით ანაცვლებენ არა მხოლოდ თინეიჯერები „მესიჯობის“ დროს, არამედ საქვეყნო საზოგადოებრივი დაწესებულებები თავიანთი შეტყობინენების გადმოცემის დროს, ერთგავარ დაცინვასავით აღიქმება სიამაყე იმის გამო, რომ იუნესკომ ქართული დამწერლობა მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაში შეიტანა. ამ დროს იუწყებოდნენ, რომ 2015 წლის 19 მარტს **„უძველესი ქართული ანბანის სამი სახეობის ცოცხალ კულტურას“** არამატერიალური მემკვიდრეობის ეროვნული ძეგლის სტატუსი მიენიჭა.

სიამაყით აღინიშნებოდა, რომ გვაქვს ქართული ანბანის სამი სახეობა და მათი გამოყენების ათასწლოვანი უწყვეტი კულტურა, რომ ქართული ანბანი ინახავს თხუთმეტსაუკუნოვანი ქართული სალიტერატურო ენის ლექსიკასა და გრამატიკას, რაც ქართული სალიტერატურო ენის განვითარების ფუნდამენტს წარმოადგენს.

კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულმა სააგენტომ ასევე სიამაყით აღინიშნა –**„ქართული ანბანის ეროვნულ ძეგლად გამოცხადება ხელს უწყობს საქართველოში კულტურული მრავალფეროვნების შენარჩუნებას, საზოგადოებაში ტოლერანტობასა და ურთიერთპატივისცემაზე დაფუძნებული სოციო-კულტურული კავშირების განმტკიცებას, ქართველოლოგიის, როგორც მეცნიერების, პოპულარიზაციას საერთაშორისო დონეზე, შემოქმედებითი ინდუსტრიების განვითარებას. ის ასევე წაახალისებს ქართული ენის, ანბანისა და ლიტერატურის კვლევითი ინსტიტუციებსა და ორგანიზაციებს შორის თანამშრომლობის განმტკიცებას, რაც ელემენტის უმთავრეს დამცავ მექანიზმად მიიჩნევა“.**

რეალურად კი, ქართული ანბანის გამოყენების 15-ე საუკუნოვან უწყვეტობას ჩვენს თვალწინ ეცლება საფუძველი. პოლიცია თავის ქართულენოვან შეტყობინებებს მოქალაქეებს ლათინური შრიფტით უგზავნის.

### დასკვნა

**საერთაშორისო კვლევით ქართველ მოსწავლეებს წაკითხულის გააზრება უჭირთ, რადგანაც მათმა საკმაო ნაწილმა ცუდად იცის მშობლიური ქართული ანბანი ლათინური შრიფტის გათავისების გამო, რასაც გარემო პირობები უწყობს ხელს.**

**ქართული კულტურის ათასწლოვანი ძლიერების მაგალითი იმედს გვაძლევს, რომ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად და წარმატებების მისაღწევად ერთგულივი შრომაა საჭირო.**

25.02.2024

## ვინ არის შენი მეგობარი?!



# „შეიძლება ვირის თავი ორაგულად გასაღდეს“




**საქართველოს ე.წ. პრეზიდენტის, (რომელიც, თუ არ ვცდები, ზურაბიშვილია გვარად (აფსუს გვარო) და სახელიც სემანტიკურად ერთობ შინაარსიანია – სალომე) გამოსვლა რომ მოვისმინე ევროპის რაღაც ლიდერების რომელიღაც შეკრებაზე, კი არ გამკვირვებია მისი პიტალო სიბრიყვე და სისულელეები, არამედ იმან გამაოცა, ამდენი უაზროგა როგორ დაეტია ერთი, თუნდაც საფრანგეთში გაზრდილი ქალის თავში – არა და ამ ქალს საქართველოს პრეზიდენტის სავარძელი უკავია და იქაც, იმ განათლებულ (თუ განათებულ!) ევროპაშიც პრეზიდენტის რანგში გამოდიოდა. ის ევროპელი ვიღაც-ვიღაც ლიდერებიც ისე უსმენდნენ, როგორც ქალბატონ პრეზიდენტს.**

ქართველებს სულელი პრეზიდენტებით ვერ გააკვირვებ, მისი წინამორბედი და იმის წინამორბედიც კაი გვარიანი გიჟები იყვნენ, მაგრამ ეს მათ ბევრად უსწრებს. ტყუილა კი არ გაიძახიან ლიბერასტები, ქალს კაცის დონისა და უფრო მეტი უნარ-შესაძლებლობები აქვსო, ჭეშმარიტად. იმ სისულელეს რასაც ეს ქალი პრეზიდენტი ამბობს და სჩადის, სამი სულელი კაციც კი ვერ ჩაიდენს.

კი მაგრამ, რატომ ირჩევდნენ ქართველები ამგვარ სულელებს პრეზიდენტებადო, – იკითხავს გონიერი უცხოელი (ჭკვიანი კაცი, რა თქმა უნდა!). ჩვენი ხალხი გულუბრყვილოა და მიმნდობია, ჩემო კეთილო, – რაინდული ბუნებაც უცხო არ არის მისთვის და სიტყვაზე ენდობა ყველას, ვინც კაი ცხოვრებასა და კაკებს დაჰპირდება, თანაც, რაც ბზინავს, ყველაფერი ოქრო ჰგონია. ამაზე ერთი კარგი, დამაფიქრებელი ლექსი აქვს ცხონებულ მურმან ლებანიძეს:

**„ვირის თავი ლანგარზე რომ გაჩაღდეს,**
**მაშარაფით, მდოგვით, დაფნის რტოებით,**
**შეიძლება ორაგულად გასაღდეს...“**

აი, ასე ლანგარზე გაჩაღებული შეასაღეს ქართველებს ახლანდელიც და მისი წინამორბედი პრეზიდენტიც. მურმან ლებანიძის აქ ციტირებულ სტროფს ერთი სტრიქონი დავაკელი; აი, ეს: „გასაღდება, მაგრამ მხოლოდ დროებით!“ კაი, ბატონო, მაგრამ რა შეღავათია ჩვენთვის. ქართველები (ვინც მოტყუვდა, ისინი!) მალე მიხვდნენ, რომ შეთავაზებულ ლანგარზე ორაგული კი არა ვირის თავი იდო, მაგრამ რაღა დროს... ორაგულად შემოჩეჩებულ ვირისთავს ვუცქირეთ ხუთი წელი და არა მარტო ვუცქირეთ, არამედ ძალიან მაგრადაც დავზარალდით. რატომ იცით? პარლამენტის დეპუტატთა შორის იმდენი ვირისთავია, რომ ვირისთავი პრეზიდენტის იმპიჩმენტი ვერა და ვერ შედგა!

აი, ამიტომ თქვა ცხონებულმა უინსტონ ჩერჩილმა: დემოკრატია მმართველობის უსაზიზღრესი ფორმააო.

**არავის ეგონოს, თითქოს ჩერჩილმა ჩვენზე თქვა ეს. იმ ცხონებულმა საქართველო სად იყო, ისიც კი არ იცოდა, ალბათ, თუმცა სტალინი რომ ქართველი იყო, ეს კარგად უწყოდა. აბა, შეხედეთ ევროპის მმართველებს! პირველ ყოვლისა მის სამშობლო ინგლისს. ნახევარი მსოფლიოს მეტროპოლიას, უკიდეგანო ამბიციების მქონე ქვეყანაში ბრიტანელი კაცი ვერ ნახეს პრემიერ-მინისტრის პოსტი რომ ენდოთ! ერთი ქალი კი იპოვეს – ტრასი, – მაგრამ ორი თვე „გაქაჩა“ ამ პოსტზე მხოლოდ. ახლა, სხვა რომ ვეღარავინ ნახეს, ყოფილი კოლონიის, ინდოეთის წარმომადგენელი ჰყავთ პრემიერად. აი, ის აშშ-ის პრეზიდენტმა ბაიდენმა, რომ თქვა, ინგლისის პრემიერ-მინისტრი რაჯ კაპური კარგი ბიჭიაო, არა და, ის პრემიერი რიშარ სუმაკია, რაჯ კაპურის ძვალიც აღარ არსებობს უკვე... ინდოელები მიცვალებულებს წვავენ და რაღა რაჯ კაპურის ნეშტს შეინახავდნენ!**

**ევროპის ნაქები დემოკრატიის ქვეყნებშიც, ბევრგან, შემოთავაზებული ორაგული ვირის თავი გამოდგა და მართავენ ახლა ეს ვირისთავები ისეთ ქვეყნებს, რომლებიც ადრე მისაბაძი კაცების სამფლობელოები იყვნენ. იმ ხუტა უფროსისა არ იყოს, „შერეკილებში“ რომ არის, თვალი დაუდგა ევროპას, ჩვენ ჩვენს ვირისთავებს მივხედოთ, თორემ მალე მათი ყროყინი გააყრუებს ქვეყანას,**

**გული რატომ მომდის იცით? იმაზე კი არა, ჩვენივე სიბეცით ორაგულის ნაცვლად ვირის თავები რომ შემოგვასაღეს ეშმაკეული ძალითმოსილმა „ძლიერთა ამა ქვეყნისათა“, არამედ იმიტომ რომ, ეს ვირისთავები ჩვენ გვთვლიან ვირისთავებად და ისეთი ტყუილის დაჯერებას გვირჩევენ, რასაც სრულიად უსწავლელი გონიერი მუშა და გლეხიც ადვილად მიხვდება. ამის მაგალითს ახლავე მოგიყვანთ...**




ახლა ხშირ-ხშირად გვეუბნებიან პარლამენტიდან, რომ ვმუშაობთ ლგბტ პროპაგანდის ამკრძალავ კანონზეო. მარტო ამ განზრახვის გაჟღერებამ დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია ლიბერასტებში, დააანონსეს აქციები და სხვა ავი აქტივობები ამ, ჯერ არშექმნილი კანონპროექტის წინააღმდეგ, რამაც, როგორც ჩანს, შეაშფოთა საპარლამენტო უმრავლესობა და მისმა ერთ-ერთმა ლიდერმა საჯაროდ განაცხადა, ჩვენი კანონი მიზნად არ ისახავს ვინმეს უფლებების შეზღუდვასო.

იფ, იფ, რა კარგი რამე მოუგონიათ ამ „ჭკუით“ გატენილებს ბრიყვების გასაბრიყვებლად, ხოლო თუ ისინი ყველა ჩვენგანს ბრიყვებად მიიჩნევენ, მაშინ ვირისთავები ყოფილან თვითონ ისინი, თუ არა და იურიდიული განათლების მქონე პარლამენტის წევრებს (თუ ასეთები აქა-იქ მაინც არიან!) ვეკითხები: სადმე თუ უნახავთ ან გაუგონიათ, რომ რომელიმე კანონი არავის უფლებებს არ ზღუდავს, ანუ თუ შეიძლება არსებობდეს კანონი რომელიც რაიმე უფლება-მოვალეობას არ გულისხმობდეს, როგორ აპირებთ ლგბტ პროპაგანდის აკრძალვას ისე, რომ არც არავის უფლება განსაზღვროთ და არც არავის მოვალეობა!!!

**რახან თქვენ ჩვენი გაგითურება განიზრახეთ, მე სხვას ვერაფერს მოვახერხებ გარდა იმისა, რომ ვირისთავები გიწოდოთ!**

ისე, რომ ვირის თავი ლანგარზე გაჩაღდება, თუ პოლიტიკურ ასპარეზზე, მაშარაფით, მდოგვით, დაფნის რტოებით მოიკაზმება, თუ ფანტასტიკურად მაღალი ხელფასებითა და პრივილეგიებით შეიმკობა, მხოლოდ დროებით გასაღდება ორაგულად, თუ სულაც პარლამენტის დეპუტატად, ანუ ხალხის რჩეულად, მხოლოდ დროებით! ცატა ხანში იგი იმ ვირისთავად იქცევა, როგორიც იყო ლანგარზე თუ პოლიტიკურ ასპარეზზე გაჩაღებამდე.

**ასეთია მარადისობის კანონი!**

ეს ყველასათვის აშკარაა, იმათ გარდა, ვისაც თვალნი აქვთ და ვერაფერს ხედავენ, ყურნი აქვთ და არაფერი ესმით“.

აბა, აშშ-ის სახელმწიფოს ერთ-ერთმა უფროსმა დირექტივა რომ გამოსცა, აწი, აღარავის წამოსცდეს „დედა“, „მამა“, „და“, „ძმა“, „გოგო“, „ბიჭი“, რადგან ამგვარი მიმართვები დისკრიმინაციულია და თანასწორობის პრინციპს ეწინააღმდეგებაო. იმ უბედურ დღეზე გაჩენილ სახელმწიფო მდივანს, „დეიდა“, „მამიდა“, „ბიძა“, „ბიცოლა“ არ უხსენებია, რადგან ასეთი ცნებები მათ გუშინწინ შექმნილ კულტურაში დღემდე არ არსებობს. მერე რა, აშშ-ელი სულელი (თუ უარესი) მაღალჩინოსნის სიტყვა ხომ კანონია მისი „მეგობარი“ ქვეყნებისთვის და შესაბამის დასკვნებსაც უპრობლემოდ გააკეთებენ ადგილობრივი ლიბერასტები და სხვა მსგავსი „რასტები“. ამ დასკვნებს კი ნორმად აქცევენ ადგილობრივი ორაგულად შემოსაღებული ვირისთავები.

**მანამდე არ აუდგათ გვერდები!**

არ გიკვირთ, ხალხო, ამნაირი სიგიჟეების მხარდამჭერები ჩვენშიც, სამიათასწლიანი სახელმწიფოებრივი ერის წარმომადგენელთა შორისაც? გიკვირთ? მე უკვე აღარ მიკვირს. რატომ იცით, ჩვენში ხომ შეეგუა ხალხი იმას, რომ პედერასტიას, მამათმავლობას, ლესბოსელობას, ნეკროფილიას განსხვავებული სქესობრივი ორიენტაცია ეწოდება. ადრეც მითქვამს და ახლაც ვიმეორებ, კაცს რომ კაცთან უნდა სექსი და არა ქალთან, ქალს კი კაცთან კი არა ქალთან უნდა ქორწინება, ეს თუ ორიენტაციაა და არა მძიმე დაავადება, მაშინ კანიბალიზმი ანუ ადამიანის ხორცის ჭამ რატომ არ არის კულინარიული ორიენტაცია? ხალხი თუ ჭკუას არ მოეგო და მამათმავლობა და სხვა მსგავსი სოდომური ცოდვა ორიენტაციად კი არა მძიმე ავადმყოფობად და ზნეობრივ გადაგვარებად არ ჩათვალა, მალე კანიბალიზმიც ნორმად იქნება მიჩნეული და მერე და მერე გინდა„დედა“ და „მამა“ დაივიწყე და ორივეს მარტივად „ჩემი გარეთ გამომწიკავი“ დაარქვი, აღარაფერი გეშველება უკვე! ადამიანი, ანუ ღვთის ნებით შექმნილი სულიერი არსება აღარ იქნება, ცხოველთა შორის ყველაზე საზიზღარი ცხოველი იქნება, სწორედ!

ეს ყველაფერი რითი დაიწყო თუ იცით? თავმოყვარეობის საფუძვლების მოშლით, ღირსების დაკარგვითა და უღირსებო არსებად გადაქცევით. ეს პროცესი ნელ-ნელა, თითქოს შეუმჩნევლად, მაგრამ ინტენსიურად მიმდინარეობდა ჩვენს თვალწინ. ჯერ სიცრუის თქმა და ქმნა გახდა მისაღები. ჩვენი წინაპრებისთვის ტყუილის თქმა დიდად სამარცხვინო და ღირსეული კაცისთვის სრულიად მიუღებელი იყო, მერე ნელ-ნელა „უწყინარი ტყუილის“ ცნებაც დამკვიდრდა, მერე „თუ არ დამჭირდა ტყუილს არ ვიტყვიო“, მერე ხელისუფლებამ დაიწყო ტყუილების თქმა და ტირაჟირება, მერე ტყუილი პოლიტიკის ნაწილად იქცა და ადამიანის ღირსებაც... ფა-ფუ!

უღირსებოს, კაცია თუ სახელმწიფო, არავის პატივისცემას არ იმსახურებს. ამ უპატივცემულობას ზოგი დუმილით გამოხატავს, ზოგი კი დემონსტრაციულად, როგორც, მაგალითად, უკრაინა, ჯერ იყო და რატომ ჩვენთან ერთად არ ებრძვიო რუსეთს, აქედან ელჩი გაიწვია ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე. დიპლომატიურ ენაზე ეს თავში ჩარტყმას თუ პანღურის ამოკვრას ნიშნავს. ჩვენებმა კი არც ელჩი გამოიწვიეს უკრაინიდან და არც ნოტა გაუგზავნეს უკრაინის მთავრობას, მერე „პრინციპულად“ განაცხადეს: მართალია უკრაინის მთავრობა ჩვენს მიმართ არამეგობრულად იქცევა, მაგრამ ჩვენ განვაგრძობთ უკრაინასთან ცალმხრივ მეგობრობას. ცალმხრივი მეგობრობა არ არსებობს, ცალმხრივი მხოლოდ სიყვარული შეიძლება იყოს. ცალმხრივი ერთგულება კი, არსებობს. ეს არის მონის ერთგულება ბატონისადმი, მაგრამ მონის ერთგულება უზნეობის მწვერვალია და ეს ღირსებად ხომ არ მიაჩნია ვინმეს?

**ამ წერილს რომ ვამთავრებდი, დამიძახეს, გამოდი ტელევიზიით საინტერესო ინფორმაციას გადმოსცემენო, გავედი და ერთ-ერთ ხელისუფლებასთან დაახლოებულ არხზე გამოაცხადეს, აშშ-ში ტრანსგენდერებს 1200 დოლარი დაუნიშნესო ყოველთვიური დახმარება! რატომ ნეტავი?**

**ერთი სენტენცია გამახსენდა: „მითხარი ვინ არის შენი მეგობარი და გეტყვი ვინ ხარ შენ!“. 2000 წლის წინათ არის ეს ნათქვამი და დღესაც აქტუალურია.**

**შეეგუა ხალხი იმას, რომ პედერასტიას, მამათმავლობას, ლესბოსელობას, ნეკროფილიას განსხვავებული სქესობრივი ორიენტაცია ეწოდება. ადრეც მითქვამს და ახლაც ვიმეორებ, კაცს რომ კაცთან უნდა სექსი და არა ქალთან, ქალს კი კაცთან კი არა ქალთან უნდა ქორწინება, ეს თუ ორიენტაციაა და არა მძიმე დაავადება, მაშინ კანიბალიზმი ანუ ადამიანის ხორცის ჭამა რატომ არ არის კულინარიული ორიენტაცია? ხალხი თუ ჭკუას არ მოეგო და მამათმავლობა და სხვა მსგავსი სოდომური ცოდვა ორიენტაციად კი არა მძიმე ავადმყოფობად და ზნეობრივ გადაგვარებად არ ჩათვალა, მალე კანიბალიზმიც ნორმად იქნება მიჩნეული და მერე და მერე გინდა„დედა“ და „მამა“ დაივიწყე და ორივეს მარტივად „ჩემი გარეთ გამომწიკავი“ დაარქვი, აღარაფერი გეშველება უკვე!..**



**ზურაბ ცუცქირიძე,**
პედაგოგიკის დოქტორი,
განათლების აკადემიის წევრი.
ტელ: 555 56-75-37



# „ქართული ხმების“ „წუთისოფელი“ დედაუნივერსიტეტში

## სახელოვანი მეცნიერის ღვაწლის დაფასება

**მძლავრი, ძარღვებში სისხლის სრბოლის ამჩქარებელი „მრავალჟამიერით“ დასრულდა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ცნობილ 107-ე აუდიტორიაში 15 მარტს გამართული საზეიმო თავყრილობა, რომელიც სახელოვანი ანსამბლის „ქართული ხმებისა“ და ცნობილი მათემატიკოსის, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორის, თსუ-ს ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორის, ღირსების ორდენის კავალერის თეიმურაზ ვეფხვაძისთვის უნივერსიტეტის ოქროს მედლით დაჯილდოებას მიეძღვნა.**

– „ქართული სასიმღერო ხელოვნების განვითარებისა და პოპულარიზაციისთვის, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან მჭიდრო კულტურულ-შემოქმედებითი ურთიერთობის გაღრმავებაში შეტანილი წვლილისთვის ლეგენდარული ანსამბლი **„ქართული ხმები“** (რობერტ გოგოლაშვილი, გივი ჭიჭინაძე, კობა ბერიაშვილი, ზურაბ ჩხაიძე, მალხაზ თალაკვაძე, ვასილ დოლიძე, ზურაბ ლოლაძე, თემურ ჭკუასელი, ჯემალ თამაზაშვილი, დავით პატარაიძე, დავით აბესაძე) დაჯილდოვდა უნივერსიტეტის ოქროს მედლით“, – ჯილდოს მიღების დამადასტურებელი სიგელის წაკითხვით დაიწყო დამსწრე საზოგადოებისადმი თავისი მიმართვა უნივერსიტეტის რექტორმა, აკადემიკოსმა **ჯაბა სამუშიამ,** რომელმაც შემდეგ საბჭოსა და სენატის მეორე გადაწყვეტილებაც გააცნო: „ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ხანგრძლივი და ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობისთვის, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი თსუ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი **თეიმურაზ ვეფხვაძე** დაჯილდოვდეს უნივერსიტეტის ოქროს მედლით“.

**– მაქვს დიდი პატივი ჩვენი უნივერსიტეტის ერთ-ერთი უმაღლესი ჯილდო გადავცე ქართული ხალხური მრავალხმიანი პოლიფონიის შესანიშნავ შემსრულებელთა ანსამბლს, ლეგენდარული „ქართული ხმების“ წევრებსა და ქართული მათემატიკური სკოლის თვალსაჩინო წარმომადგენელს, პროფესორ თეიმურაზ ვეფხვაძეს, რომლის დაბადებიდან 80 და სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობის 55 წელი შესრულდა,** – თქვა ბატონმა **ჯაბა სამუშიამ.**

– პირველ სამეცნიერო წარმატებას პროფესორმა თეიმურაზ ვეფხვაძემ ჯერ კიდევ სტუდენტობის დროს მიაღწია, როცა სირთულით ცნობილი ლიუვილის ფორმულა ამოხსნა. შემდგომში მან კიდევ არაერთ წარმატებას მიაღწია, თანაც ნაყოფიერი სამეცნიერო კვლევების პარალელურად. პროფესორმა თ. ვეფხვაძემ უდიდესი წვლილი შეიტანა საშუალო სკოლებში მათემატიკის ქართული სახელმძღვანელოების შექმნაშიც და ჩვენი ახალგაზრდების აგერ უკვე მერამდენე თაობაა მისი წიგნებით ეუფლება ზუსტ მეცნიერებათა ამ ქვაკუთხედის ანა-ბანას. ესაა უნიკალური შემთხვევა, რომ ორ ესოდენ მნიშვნელოვან ასპარეზზე ერთი კაცის მიღწევები ასე შთამბეჭდავი ყოფილიყოს. პედაგოგიურ მოღვაწეობას კი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში პროფესორი თეიმურაზ ვეფხვაძე აგერ უკვე 55 წელია ეწევა, ამიტომაც სენატის გადაწყვეტილებით ოქროს მედლის მინიჭება მისი დიდი დამსახურების უტყუარი საბუთია.

რაც შეეხება სახელოვანი ანსამბლის „ქართული ხმებისთვის“ უნივერსიტეტის უმაღლესი ჯილდოს – ოქროს მედლის მინიჭებას, ესეც სავსებით ლოგიკურია. მინდა აღვნიშნო, რომ ჯერ კიდევ 1985 წელს, თსუ ბაზაზე დაარსდა ანსამბლი „ჟურნალისტი“, რომელიც 1996 წელს დაჯილდოვდა საქართველოს სახელმწიფო პრემიით, 2004 წელს კი ის ანსამბლ „ქართულ ხმებს“ შეერწყა. სულ ახლახან „ქართულმა ხმებმა“ უნივერსიტეტში გამართეს შესანიშნავი წარმოდგენა „წუთისოფელი“, რომელშიც მაყურებელს ხალხური სიმღერებით ფრაგმენტულად გაუცოცხლეს საქართველოს ისტორია. თავად ისტორიკოსი გახლავართ და ბედნიერი ვარ, რომ მთელი საათნახევრის განმავლობაში ამ შესანიშნავ კომპოზიციას ვუსმენდი.

სამადლობელ გამოსვლაში ანსამბლის წევრმა **თემურ ჭკუასელმა,** რომელიც სხვათა შორის, ლიტერატურული კომპოზიციის „წუთისოფლის“ ავტორი და წამყვანი გახლავთ, აღნიშნა, რომ მისთვის, როგორც ადამიანისთვის რომელსაც უნივერსიტეტის კედლებში ნახევარ საუკუნეზე მეტი აქვს გატარებული, უდიდესი პატივი და უზარმაზარი პასუხისმგებლობა იყო, რომ „წუთისოფლის“ პრემიერა სწორედ დედაუნივერსიტეტში გაიმართა.

**– დიდ მადლობას მოვახსენებ უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოსა და სენატს, ასევე კოლეგებს ჩემი საქმიანობის ესოდენ მაღალი დაფასებისთვის,** – თქვა პროფესორმა **თეიმურაზ ვეფხვაძემ.**

– უნივერსიტეტის გარეშე ჩემი ცხოვრება წარმოუდგენელია, ძალიან მიყვარს ახალგაზრდებთან მუშაობა, მათთან ყოველდღიური ურთიერთობა. კიდევ ერთი ჩემი საყვარელი საქმეა მათემატიკის სასკოლო სახელმძღვანელოების შექმნა, რაც, როგორც უმაღლესი სკოლის პედაგოგს, ჩემ წმინდა მოვალეობად მიმაჩნია.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ოქროს მედლის დაჯილდოებულთათვის მილოცვებით გამომსვლელებმა დიდი გულისტკივილით მოიხსენიეს „ქართული ხმების“ უდროოდ გარდაცვლწილი წევრები, ერთხმად აღნიშნეს ის განუზომელი სიხარული, რაც ანსამბლის შემოქმედებას სრულიად საქართველოს ყველა თაობის მსმენელთათვის მოაქვს.

ასევე განსაკუთრებით აღინიშნა სამამულო მათემატიკური სკოლის სახელის გატანისა და ავტორიტეტის განმტკიცების უაღრესად საშვილიშვილო, დიდებული მათემატიკოსის, პროფესორ თეიმურაზ ვეფხვაძის ღვაწლი.

თ. ვეფხვაძის კოლეგამ, თსუ მათემატიკის დეპარტამენტის პროფესორმა, რიცხვთა თეორიის სპეციალისტმა **ქეთევან შავგულიძემ** გაიხსენა:

**– პროფესორ თეიმურაზ ვეფხვაძის სახელი და ავტორიტეტი მსოფლიოს მათემატიკურ წრეებში იმდენად დიდია, რომ როცა საფრანგეთის ქალაქ გრენობლში გამართულ ერთ-ერთ სამეცნიერო კონფერენციაზე მისი მოხსენების დრო დადგა, მანამდე სანახევროდ შევსებული სექციის სამუშაო დარბაზი უცებ ფორუმის მონაწილეებით გადაიჭედა! ამდენად, ჩვენ, ბატონი თეიმურაზის კოლეგებს, მიგვაჩნია, რომ მისთვის უნივერსიტეტის ოქროს მედლის მინიჭება მთელი ქართული მათემატიკური საზოგადოების დაფასებაა.**

მას შემდეგ კი, რაც „ქართულმა ხმებმა“ „მრავალჟამიერი“ დააგუგუნეს, სახელდახელო ინტერვიუ ჩამოვართვით უნივერსიტეტის ოქროს მედლის ორ ახალ კავალერს.

„ქართული ხმების“ დამფუძნებელი, ხელოვნების ქურუმი, **თემურ ჭკუასელი:** – **უნივერსიტეტის ოქროს მედლით დაჯილდოება ჩემთვის, ისევე, როგორც ანსამბლის ყველა წევრისთვის, მოულოდნელი და ამით უფრო სასიხარულო ამბავი იყო. საქმე ისაა, რომ როცა წლის დასაწყისში უნივერსიტეტის რექტორს შეთავაზებით მივმართეთ, რომ საქართველოს წარსულის მოტივებზე – დასაბამიდან დღევანდლამდე – შტრიხებით შექმნილი, ხალხური სიმღერებით გაწყობილი ლიტერატურული კომპოზიცია „წუთისოფელი“, მეფე დავით აღმაშენებლის ხსენებისა და უნივერსიტეტის დაარსების დღეს, 8 თებერვალს მისივე კედლებში გაგვემართა, ბატონმა ჯაბამ გვთხოვა, რომ ეს ღონისძიება ცოტა ხნით გადაგვეწია და მარტში მოგვეწყო, რათა ზამთრის სესიისა და არდადეგების შემდეგ მისი ნახვის საშუალება რაც შეიძლება მეტ სტუდენტს ჰქონოდა.**

**ტრაბახში არ ჩამითვალოთ, თუ ვიტყვი, რომ საღამომ არნახული წარმატებით ჩაიარა და მაყურებელთა დიდი მოწონებაც დაიმსახურა, რაც ბატონმა რექტორმა თავის გამოვლაში აღნიშნა კიდეც.**

ამის შემდეგ, როგორც გითხარით, შევიტყვეთ, რომ უნივერსიტეტის ხელმძღვანელობა ანსამბლის დაჯილდოებას აპირებდა, რაც ჩვენთვის სრული მოულოდნელობა იყო! ცხადია, ჩვენს სიხარულსა და სიამაყის გრძნობას საზღვარი არ აქვს – ეს ხომ უდიდესი დაფასება და პატივია, რისთვისაც უსაზღვროდ მადლობელნი ვართ!

თსუ-ს ზუსტ და საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის პროფესორი **თეიმურაზ ვეფხვაძე: – სამეცნიერო მოღვაწეობა ჯერ კიდევ სტუდენტობის ხანიდან დავიწყე და პირველ დიდ წარმატებასაც საყოველთაო რეზონანსი მოჰყვა. ეს კი, კერძოდ, 1865 წელს, დამტკიცების გარეშე გამოქვეყნებული ცნობილი ლიუვილის ფორმულის ამოხსნა იყო, რაც მე მისი გამოქვეყნებიდან ზუსტად ერთი საუკუნის თავზე, 1965 წელს შევძელი. სწავლის დამთავრების შემდეგ, დავიცავი ჯერ საკანდიდატო, მერე სადოქტორო დისერტაციები და მუშაობა ჩემ საყვარელ თბილისის სახელმწიფო უნგივერსიტეტში დავიწყე. ფიზიკის ფაკულტეტზე ვიყავი უმაღლესი მათემატიკის, შემდეგ ალგებრა-გეომეტრიის კათედრების გამგე. ამასობაში საჭირო გახდა სასკოლო მათემატიკის ახალი, ქართული სახელმძღვანელოების შექმნა, ვინაიდან, მოგეხსენებათ, იმ დროს ჩვენს სკოლებში ამ საგანს რუსულიდან ნათარგმნი წიგნებით ვასწავლიდით და მეც, სამეცნიერო მუშაობის პარალელურად, მკვიდრად მოვკიდე ამ საქმეს ხელი. ამჟამად 80-მდე სახელმძღვანელო და სტატია მაქვს შექმნილი. ეს იყო პირველი ნაბიჯი იმ მიმართულებით, რომ საშუალო განათლების სისტემაში ეროვნულ სწავლებაზე გადავსულიყავით, თანაც მაშინ ბევრი ახალი იდეა შემოვიდა, გაჩნდა ახალი საკითხები, ამიტომაც სახელმძღვანელოებს გათანამედროვეობა სჭირდებოდათ. დიდად მოხარული ვარ, რომ სკოლებში მათემატიკა – პირველიდან მეთორმეტე კლასამდე! – დღეს კვლავაც ჩემი დაწერილი სახელმძღვანელოებით ისწავლება.**

განვლილი წლების განმავლობაში ინტენსიურად ვმონაწილეობდი საერთაშორისო მათემატიკური თავყრილობების მუშაობაში, ჩემი სამეცნიერო ინტერესების უპირველეს სფეროს კი რიცხვთა თეორია წარმოადგენს, რაზეც 60-მდე ნაშრომი მაქვს დაწერილი. მათემატიკის ეს მიმართულება რიცხვთა თვისებებს შეისწავლის – აქ ამოცანა ადვილი დასასმელი კია, მაგრამ მისი ამოხსნაა ძნელი! ამდენად, პრობლემის ამოხსნას მკვლევარებში ერთგვარად შეჯიბრის ელფერიც კი დაჰკრავს. ზოგიერთი საკითხის გადაჭრა მეც შევძელი, რასთან დაკავშირებით ნაშრომები უცხოეთის ავტორიტეტულ ჟურნალებში მაქვს გამოქვეყნებული.

**სამეცნიერო და პედაგოგიურ მოღვაწეობას დღესაც დიდი ხალისით ვაგრძელებ, ვემსახურები მომავალი მათემატიკოსების აღზრდას.**

**უნივერსიტეტში ამჟამადაც, ისევე, როგორც წინა წლებში, ძალიან კარგი სტუდენტები გვყავს, რომლებთანაც მუშაობა პირადად მე უდიდეს სიხარულს მგვრის!..**

**ოთარ ტურაბელიძე**


თსუ რექტორი, აკადემიკოსი ჯაბა სამუშია და პროფესორი თეიმურაზ ვეფხვაძე


ოქროს მედალოსანი „ქართული ხმები“ და დიდი მათემატიკოსი თეიმურაზ ვეფხვაძე (ზის მარჯვნიდან მეორე).


აკადემიკოსი ჯაბა სამუშია და „წუთისოფლის“ ავტორი და წამყვანი თემურ ჭკუასელი

# ეს ჩვენ სიაქართველოა




# ფერმერის რუსთველური გატაცება

**მეტად საინტერესო ბიოგრაფიის კაცია თამაზ ქვლივიძე: სიღარიბე, შრომა, გამომგონებლობით გატაცება, „ვეფხისტყაოსნით" აღტაცება – აი, მისი ასაზია, მისი განუშორებელი მაყრიონი, მისი მთელი ზეციური მხედრიონი.**

**ჯერ კიდევ ნორჩმა სცადა საკუთარი ვენახი ჰქონოდა, როცა 5 წლისამ „სიმინდის ქეჩეჩით" გაკეთებული ზვარი აჩვენა მშობელს, მოგვიანებით კი მოზრდილმა მართლა გააშენა საკუთარი ვენახი, ხოლო რუსთველის 800 წლისთავს რვაასძირიანი ზაღით შეხვდა, 850 წლისთავზე კი რუსთველის სახელობის ვენახს 50 ძირი კიდევ მიუმატა.**

ამასობაში მაძიებელმა და წარმატებულმა ფერმერმა არაერთი გამოგონება დანერგა მევენახეობაში, არაერთხელ დაიმსახურა სამთავრობო პრემიები, უმაღლესი ფულადი ჯილდოები. ერთხელ ავტომობილი „ვოლგაც" კი აჩუქა მთავრობამ არაერთი აღმოჩენის პატენტით ხელდამშვენებულს.

მართალია, საბჭოთა ბიუროკრატიული აპარატი მაშინ და თავისუფალი საქართველოს თანამედროვე საბჭოური ბიუროკრატიული აპარატი საშველს არ აძლევდა, ყოველმხრივ ხელს უშლიდა მიგნება-აღმოჩენების დანერგვაში, ოღონდ, როგორც იტყვიან, სანთელ-საკმეველმა თავისი გზა არ დაკარგა – აღიარებამ და დიდებამ, როგორც იქნა, მაინც მიაღწია ადრესატამდე. ალბათ მთავრობის ნაჩუქარი „ვოლგაც" კი ვერ დაიტევს იმ დიპლომებს, პატენტებს, აღიარების სერტიფიკატებსა და მოწმობებს, ამ წერილის გმირმა, მევენახე-გამომგონებელმა, რომ დაიმსახურა.

ამბობენ: უბედურება მარტო არ მოდისო, ოღონდ, როგორცა ჩანს, არც წარმატება მოდის მარტო – მევენახე-რაციონალიზატორმა თავი ისახელა როგორც სახალხო მთქმელმა: დაწერა და გამოაქვეყნა კიდეც 850-სტრიქონიანი ლირიკული პოემა **„ვაზისა და 850 წლის რუსთაველის საუბარი".**

ამით ავტორმა, თავისი ფიქრით, ერთგვარი ხიდი გადო 850 წლის რუსთველსა, 850 ძირიან ვენახის ზაღსა და საკუთარ 850-სტრიქონიან ფიქრებს შორის; ამ კავშირით გამოხატა უარუთქმელი თაყვანება ორი ეროვნული სიმბოლოს მიმართ – ესენია მარად უკვდავი **ვენახი და რუსთველი**!

**ფეხი ვენახში ავიდგი,**
**ვაჟღერებ ფიქრებს ქებულსა,**
**კალმად ვხმარობდი წალამსა,**
**გასხლულსა, დაწუნებულსა,**
**მელნად ვიღებდი ვაზის ცრემლს,**
**ღვინოში შეზავებულსა,**
**ფურცლად კი მიწას, ხან მკლავებს,**
**შრომისგან დაკოჟრებულსა.**

**ასე ვიდოდი ერთ დროსა, სევდა გულს მიტარებია,**
**ვაზისთვის მიძღვნილ შრომებში**
**არვინ არ დამხმარებია,**
**განწირულ ვიყავ ტანჯვისთვის,**
**გული არ მიმღერებია,**
**ჩემდა ნუგეშად ვენახში ვაზები მომფერებია...**

მე აქ ზოგადად და მოკლედ ვისაუბრე, ხოლო, ვისაც ყოველივე ეს კონკრეტულად და დოკუმენტურად დადასტურებულ-დასაბუთებული აინტერესებს, შეუძლია ნახოს და გაეცნოს მევენახე-ფერმერ-მთქმელის ახალ ნაშრომში, რომელსაც ეწოდება **„წუთისოფლის წიგნი".**

**მურმან თავდიშვილი,**
რუსთველოლოგი და ვაზის მოყვარული

# სამთავროს უნიკალური კომპლექსის რესტავრაცია წარმატებით გაგრძელდება

**საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროს სსიპ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულმა სააგენტომ მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის – სამთავროს სამონასტრო კომპლექსის ფერისცვალების ტაძრის ფასადის კონსერვაციისა და წმ. ნინოს სახელობის ეკლესიის გვიან მოწყობილი სარინელის გადაწყობისა და წყალამრიდი სისტემის მოწყობის სამუშაოები დაასრულა.**

სამუშაოები განხორციელდა პროექტის მიხედვით, რომელიც კულტურული მემკვიდრეობის საერთაშორისო საბჭოს (ICOMOS) 2023 წლის მაისის დასკვნით სანიმუშოდ შეფასდა და ითქვა, რომ მოცემული მეთოდოლოგიისა და მიდგომის გამოყენება საქართველოს ქვის კონსერვატორებს სხვა ძეგლებზეც შეუძლიათ.

პროფესიონალ რესტავრატორებთან და დარგის სპეციალისტებთან ერთად შესრულებულ სამუშაოებს გაეცნო საქართვლეოს კულტურისა და სპორტის მინისტრი თეა წულუკიანი. აღსანიშნავია, რომ 2023 წლის მეორე ნახევარში მცხეთის სამთავროს მონასტრის ცოკოლის ქვისა და წმ. ნინოს ეკლესიის სანიაღვრე სისტემის მოსაწყობად საკონსერვაციო სამუშაოები ბოლო ათწლეულების განმავლობაში დეტალური გეგმის მიხედვით პირველად განხორციელდა.

საყურადღებოა, რომ სარეაბილიტაციო სამუშაოების დაწყებამდე კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს დაკვეთით 2022 წელს მომზადდა შესაბამისი საკონსერვაციო პროექტი, რომელიც კულტურული მემკვიდრეობის საერთაშორისო საბჭოს მიერ დადებითად შეფასდა. კერძოდ, 2023 წლის მაისის დასკვნაში ნათქვამია, რომ ეს პროექტი სანიმუშოა და მისი გამოყენება საქართველოს ქვის კონსერვატორებს სხვა ძეგლებზეც შეუძლიათ.



სამთავროს სამონასტრო კომპლექსში გასულ წლებში ჩატარდა სხვადასხვა სახის სამუშაოები. ამ სამუშაოების ფარგლებში ტაძრის როგორც შიდა სივრცეში, ასევე გარეთ ნიშნულებმა დაიწია, რის შემდეგაც საჭირო გახდა ახლად გამოვლენილი ტაძრის ქვედა ნაწილების კონსერვაცია. გარდა ამისა, საჭირო იყო ჩრდილოეთ კედელზე არსებული წყალსაწრეტი მილებიდან ჩამოსული წყლის ორგანიზება. რაც შეეხება წმინდა ნინოს პატარა ეკლესიას, აღმოსავლეთ ფასადის გასწვრივ ამორტიზებული იყო ახლად მოწყობილი ბაზალტის ფილების სარინელი, ხოლო ფასადებზე გვიანდელი ცემენტის ნალესობები ძეგლის იერსახეს ამახინჯებდა.

სააგენტოს მიერ კვლევითი/საპროექტო და სარეაბილიტაციო სამუშაოებისათვის გამოიყო 222 903 ლარი.

ეროვნული მნიშვნელობის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი – სამთავროს სამონასტრო კომპლექსი ქ. მცხეთის ცენტრში, სამთავროს ველის ფერდობზე მდებარეობს. კომპლექსში შემავალი ნაგებობებია: ფერისცვალების გუმბათიანი ტაძარი, წმ. ნინოს ეკლესია, სამრეკლო, კოშკი, ძველი სასახლისა და გალავნის ნაწილი, კელიები და სხვა გვიანდელი დამხმარე ნაგებობები. ფერისცვალების ტაძარი XI საუკუნით თარიღდება, თუმცა თავდაპირველი ნაგებობის ქვედა ნაწილების ფრაგმენტები დღემდეა შემორჩენილი. წმინდა ნინოს ეკლესია სამეცნიერო ლიტერატურაში IV-IX საუკუნეებით თარიღდება.

# საზოგადოება ფეიკინფორმაციებით შეცდომაში შეჰყავთ!!!

იუსტიციის სამინისტრო ერთ-ერთი ტელეკომპანიის მიერ უწყების მიერ გაწეული „სამოგზაურო-სამივლინებო" ხარჯების თაობაზე გავრცელებულ ინფორმაციას ეხმაურება.

**„თვითმფრინავებისა და პილოტების ფონზე მომზადებულ მანიპულაციურ სიუჟეტში, რომელიც მიზნად ისახავს საზოგადოების შეცდომაში შეყვანას, საუბარია, რომ, თითქოსდა, სამინისტროს ხელმძღვანელობამ ექვს თვეში 7 მილიონ ლარამდე დახარჯა მივლინებებთან დაკავშირებულ ფრენებზე.**

**განვმარტავთ, რომ სიუჟეტში ნახსენები თანხიდან 6,4 მილიონი ლარი არის სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ მიწის სისტემური რეგისტრაციის რეფორმის ფარგლებში, ქვეყნის შიგნით მივლინებებისთვის გაწეული ხარჯი, რომელიც გულისხმობს 750 ამზომველის მთელი ქვეყნის მასშტაბით, მიწის ნაკვეთების აზომვის მიზნით, სხვადასხვა მუნიციპალიტეტში გადაადგილებასა და განთავსებას, ასევე, გადამზადება-ტრენინგებს, 64 მუნიციპალიტეტში მერიის წარმომადგენლებთან და მოსახლეობასთან სამუშაო შეხვედრებს. აღნიშნული ხარჯი გათვალისწინებულია სისტემური რეგისტრაციის ბიუჯეტში.**

**დღეის მდგომარეობით, მიწის რეფორმის ფარგლებში უკვე აზომილია 612 609 მიწის ნაკვეთი ჯამური ფართობით 194 530 ჰა და რეგისტრირებულია 482 190 მიწის ნაკვეთი ჯამური ფართობით 173 272 ჰა. მიწის სისტემური რეგისტრაცია მთელი ქვეყნის მასშტაბით დაიწყო 2022 წელს, მოქალაქისათვის არის სრულიად უფასო და ფინანსდება სახელმწიფოს მიერ",** – აღნიშნულია ინფორმაციაში.



# მალე კახეთში კომფორტულად და უსაფრთხოდ ვიმგზავრებთ!

**კახეთის რეგიონში საგზაო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის 12 პროექტი, 4 ნაპირსამაგრი და სტიქიის პრევენცია-ლიკვიდაციის პროექტი ხორციელდება. პროექტების ფარგლებში, რეაბილიტაცია ჩაუტარდება 138 კმ. გზას, საიდანაც 110 კმ. გზის რეაბილიტაცია მიმდინარე წელსვე დასრულდება. რეაბილიტაციის პროექტების ჯამური ღირებულება 178 მილიონი ლარია. ჯამურად თექვსმეტივე პროექტის ღირებულება კი – 183 მილიონი ლარი.**

მათ შორის, რეაბილიტაცია უტარდება შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ვაზიანი-გომბორი-თელავის საავტომობილო გზის 33.6 კმ-იანი მონაკვეთს, სადაც, ამ დროისთვის, უკვე მოწყობილია ხელოვნური ნაგებობების 90% და 12 კმ-ზე მოწყობილია ასფალტის საფარი.

დასრულების ეტაპზეა შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ახმეტა-ზაწარას ნაკრძალის საავტომობილო გზის დუისი-ჯიბახევის 8 კმ-იანი მონაკვეთის რეაბილიტაცია. აქტიურად მიმდინარეობს შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ახმეტა-თელავი-ბაკურციხის უშუალოდ თელავზე გამავალი საავტომობილო გზის 5 კმ-იანი მონაკვეთის სარეაბილიტაციო სამუშაოებიც.

რეაბილიტაცია უტარდება ასევე დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სიღნაღის მუნიციპალიტეტთან დამაკავშირებელი ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზას. პროექტების დასრულება 2024 წელს იგეგმება და კახეთის რეგიონში, საავტომობილო გზებზე კომფორტულ და უსაფრთხო გადაადგილებას უზრუნველყოფს.

ⓞ რეპლიკა

# უმისოდ რად იმღერეთა?!

**რესპუბლიკის რუსთველოლოგთა ნაკრებმა გუნდმა, რომელიც ლიტინსტიტუტის საწვრთნელ ბაზაზე ემზადებოდა, გამოსცა ფართო ფორმატის უზარმაზარი ფოლიანტი (512 გვერდი). სტატიების კრებულს ასე ეწოდება – „რუსთველი და ნიზამი".**

წიგნში ნახსენებიც არაა მურმან თავდიშვილის „ნიზამი და რუსთველი" (2011), რომლის შესახებაც ჩვენს გაზეთში დაიბეჭდა აღტაცებული გამოხმაურება ირანოლოგი პროფესორის ნომადი ბართაიასი, სამუქფოდ დიდის ამბით წერია ასეთი რამ:

**„საშუალის თემას უკავშირდება „ვეფხისტყაოსნის" ოქსიმორონული ტაეპი: „უბოროტო ვის ასმია, რაცა კარგი საეშმაკო?" აქ ავთანდილი სიყვარულით გონებადაბინდულ ტარიელს უხსნის, რომ სიყვარულში ბოროტება არსებობს. ეს სენტენცია გამოძახილია ძველბერძნულ ფილოსოფიაში ცნობილი თეორიისა, რომ სიყვარული არის საშუალო ინსტანცია კეთილსა და ბოროტს შორის" (კრებული, 348-349).**

მკვლევრებს მოსვლიათ საშინელი შეცდომა – მსოფლიოში ცნობილი ფილოსოფიური ტერმინი **„კარგი"** გაუგიათ, როგორც თანამედროვე ქართული სიტყვა **კარგი**. ამ ყალბ გაგებაზე კი აუგიათ შორს მიმავალი თეორია.

ეს ფიასკო კი არ დაემართებოდათ, რომ წაეკითხათ მ. თავდიშვილის წიგნი. იქ ყველაფერი ეს ნათლად ახსნილია, გახსენებულია ვ. ნოზაძის განმარტება, რომ „კარგი" ნიშნავს რიგს, წესს, თანამიმდევრობას, რაც მთავარია, ეს ტერმინი თურმე თვით ნიზამისაც კი ჰქონია მომარჯვებული, თანაც ზუსტად ისე, როგორც რუსთველს, და ნაკრები გუნდის წევრები აზრზეც არ არიან. თავდიშვილის მონოგრაფიაში ვკითხულობთ: „სინამდვილეში „კარგი" ნახმარია ნიზამის მეორე პოემაში და ნიშნავს, არც მეტი, არც ნაკლები, რიგს. ქმნილებაში ერთგან ვკითხულობთ: „ამ **კარგის** მიხედვით ის გახდა მეუღლე" (355).

რუსულ თარგმანშია: „На сей **карге** он сделался супругом". დავით ჩუბინაშვილის ლექსიკონში ის ამგვარადაა განმარტებული: რიგი, წესი, რიგობა (595).

ვერ დავიჩემებ, ოღონდ, შესაძლოა, ამ „კარგ"-ისაგან მოდიოდეს სიტყვები – **ქარგა** და **ქარგალი"** (მ. თავდიშვილი, ნიზამი და რუსთველი, 2011, გვ. 114).

მაშასადამე, რუსთველის სადავო ფრაზაში არც ძველი ბერძნული ფილოსოფიის კვალია, არც ოქსიმორონია. მასში მეტად უბრალო აზრია გამოხატული: რაც ეშმაკის რიგისაა, რაც ეშმაკეულია, ის უბოროტო ვერ იქნებაო!

აი, რატომ იყო საჭირო, ლიტინსტიტუტში გამომავალი კრებულის მთავარ რედაქტორად მურმან თავდიშვილის მიწვევა და მისი წიგნის შესაბამისი ადგილის გამოყენება და მითითება.

**ახლა კი რა შეგვრჩა ხელთ?**

ხელთ შეგვრჩა ნაკრები გუნდის გამანადგურებელი ანგარიში **ათით ნული!**

მოსალოდნელია ეს წკეპლიკა სახრეიკად (სახრედ) გადაიქცეს და ანგარიში კიდევ უფრო გაიზარდოს, როცა გამოჩენილი რუსთველოლოგი („ვინ მარტომან ასთა ავნის") გამოაქვეყნებს თავის ვრცელ რეცენზიას ნაწკეპლიკარ წიგნზე!

**მირიან როხაძე,**
ობსერვატორია „როგვის" დირექტორი

# განცხადება
# საჯარო განხილვის შესახებ

## გზშ ანგარიშის საჯარო განხილვა -
## კასპის მუნიციპალიტეტში შპს „ფემილი ფარმის“ მესაქონლეობის ფერმისა და სამელიორაციო სისტემის მოწყობა და ექსპლუატაცია

გადაწყვეტილების მიმღები უფლებამოსილი ორგანოა სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო. საჯარო განხილვის ორგანიზატორია სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი.

დაგეგმილი საქმიანობის გზშ ანგარიშის საჯარო განხილვის დრო და ადგილი: 2024 წლის 26 აპრილი, 12:00 საათი, კასპის მუნიციპალიტეტის სოფ. კავთისხევის ადმინისტრაციული ერთეულის შენობა

საჯარო განხილვა ღიაა. მონაწილეობის, შენიშვნებისა და მოსაზრებების წარდგენის უფლება აქვს საზოგადოების ნებისმიერ წარმომადგენელს. წარმოდგენილ დოკუმენტაციასთან დაკავშირებით წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები შეგიძლიათ გაუგზავნოთ სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს 2024 წლის **17 მაისის** ჩათვლით მისამართზე: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზირი №150 ან ელ-ფოსტაზე: eia@mepa.gov.ge (გამოგზავნისას მიუთითოთ ადრესატი: სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს). მოთხოვნის შემთხვევაში, წარმოდგენილი დოკუმენტაციის ნაბეჭდი/მატერიალური ვერსიის ხელმისაწვდომობას უზრუნველყოფს სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი. საჯარო განხილვასთან დაკავშირებით მიმართეთ განათლების ცენტრს (ტელ: 0322 112023, ელ-ფოსტა: ph@eiec.gov.ge, მის: ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის გამზირი №32გ).

**განცხადების რეგისტრაციის თარიღი: 2024 წლის 11 მარტს.** განცხადების რეგისტრაციიდან არაუადრეს 51-ე დღისა და არაუგვიანეს 55-ე დღისა სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო გასცემს გარემოსდაცვით გადაწყვეტილებას.

---

# განცხადება
# საჯარო განხილვის შესახებ

## გზშ ანგარიშის საჯარო განხილვა -
## ზესტაფონის მუნიციპალიტეტში, 50 მგვტ სიმძლავრის „ზესტაფონის“ ქარის ელექტროსადგურის, 110 კვ ძაბვის ქვესადგურის და ქარის ტურბინების ქვესადგურთან დამაკავშირებელი 35 კვ ძაბვის მიწისქვეშა ელექტროგადამცემი ხაზების მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტი

გადაწყვეტილების მიმღები უფლებამოსილი ორგანოა სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო. საჯარო განხილვის ორგანიზატორია სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი.

დაგეგმილი საქმიანობის გზშ ანგარიშის საჯარო განხილვის დრო და ადგილი:

**2024 წლის 19 აპრილი, 12:00 საათი, ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფ. დილიკაურის ადმინისტრაციული ერთეულის შენობა**

**2024 წლის 19 აპრილი, 15:00 საათი, ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფ. ბოსლევის ადმინისტრაციული ერთეულის შენობა**

საჯარო განხილვა ღიაა. მონაწილეობის, შენიშვნებისა და მოსაზრებების წარდგენის უფლება აქვს საზოგადოების ნებისმიერ წარმომადგენელს. წარმოდგენილ დოკუმენტაციასთან დაკავშირებით წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები შეგიძლიათ გაუგზავნოთ სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს 2024 წლის **15 მაისის** ჩათვლით მისამართზე: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზირი №150 ან ელ-ფოსტაზე: eia@mepa.gov.ge (გამოგზავნისას მიუთითოთ ადრესატი: სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს). მოთხოვნის შემთხვევაში, წარმოდგენილი დოკუმენტაციის ნაბეჭდი/მატერიალური ვერსიის ხელმისაწვდომობას უზრუნველყოფს სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი. საჯარო განხილვასთან დაკავშირებით მიმართეთ განათლების ცენტრს (ტელ: 0322 112023, ელ-ფოსტა: ph@eiec.gov.ge, მის: ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის გამზირი №32გ).

**განცხადების რეგისტრაციის თარიღი: 2024 წლის 6 მარტი.** განცხადების რეგისტრაციიდან არაუადრეს 51-ე დღისა და არაუგვიანეს 55-ე დღისა სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო გასცემს გარემოსდაცვით გადაწყვეტილებას.

---

# განცხადება
# საჯარო განხილვის შესახებ

## გზშ ანგარიშის საჯარო განხილვა -
## შპს „გრინ ჰაბ თბილისის“ მიერ გარდაბნის მუნიციპალიტეტში მცენარეული საკვები ზეთებისგან ბიოდიზელის საწვავის მიღების (ნარჩენების აღდგენა) საწარმოს მოწყობა და ექსპლუატაცია

გადაწყვეტილების მიმღები უფლებამოსილი ორგანოა სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო. საჯარო განხილვის ორგანიზატორია სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი.

დაგეგმილი საქმიანობის გზშ ანგარიშის საჯარო განხილვის დრო და ადგილი: 2024 წლის 26 აპრილი, 12:00 საათი, გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფ. მარტყოფის 2 საჯარო სკოლის შენობა

საჯარო განხილვა ღიაა. მონაწილეობის, შენიშვნებისა და მოსაზრებების წარდგენის უფლება აქვს საზოგადოების ნებისმიერ წარმომადგენელს. წარმოდგენილ დოკუმენტაციასთან დაკავშირებით წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები შეგიძლიათ გაუგზავნოთ სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს 2024 წლის **17 მაისის** ჩათვლით მისამართზე: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზირი №150 ან ელ-ფოსტაზე: eia@mepa.gov.ge (გამოგზავნისას მიუთითოთ ადრესატი: სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს). მოთხოვნის შემთხვევაში, წარმოდგენილი დოკუმენტაციის ნაბეჭდი/მატერიალური ვერსიის ხელმისაწვდომობას უზრუნველყოფს სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი. საჯარო განხილვასთან დაკავშირებით მიმართეთ განათლების ცენტრს (ტელ: 0322 112023, ელ-ფოსტა: ph@eiec.gov.ge, მის: ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის გამზირი №32გ).

**განცხადების რეგისტრაციის თარიღი: 2024 წლის 11 მარტს.** განცხადების რეგისტრაციიდან არაუადრეს 51-ე დღისა და არაუგვიანეს 55-ე დღისა სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო გასცემს გარემოსდაცვით გადაწყვეტილებას.

---

# განცხადება
# საჯარო განხილვის შესახებ

## სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვა -
## ქ. რუსთავის მუნიციპალიტეტში სს „რუსთავოილის“ მიერ ნავთობპროდუქტების გადამამუშავებელი საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილება

გადაწყვეტილების მიმღები უფლებამოსილი ორგანოა სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო. საჯარო განხილვის ორგანიზატორია სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი.

**დაგეგმილი საქმიანობის სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვის დრო და ადგილი:** 2024 წლის 29 მარტი, 12:00 საათი, ქ. რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის შენობა (მის: კოსტავას ქ. 20)

საჯარო განხილვა ღიაა. მონაწილეობის, შენიშვნებისა და მოსაზრებების წარდგენის უფლება აქვს საზოგადოების ნებისმიერ წარმომადგენელს. წარმოდგენილ დოკუმენტაციასთან დაკავშირებით წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები შეგიძლიათ, გაუგზავნოთ სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს 2024 წლის **4 აპრილის** ჩათვლით მისამართზე: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზირი №150 ან ელ-ფოსტაზე: eia@mepa.gov.ge (გამოგზავნისას მიუთითოთ ადრესატი: სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს). მოთხოვნის შემთხვევაში, წარმოდგენილი დოკუმენტაციის ნაბეჭდი/მატერიალური ვერსიის ხელმისაწვდომობას უზრუნველყოფს სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი. საჯარო განხილვასთან დაკავშირებით მიმართეთ განათლების ცენტრს (ტელ: 0322 112023, ელ-ფოსტა: ph@eiec.gov.ge, მის: ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის გამზირი №32გ).

**განცხადების რეგისტრაციის თარიღი: 2024 წლის 6 მარტს.** განცხადების რეგისტრაციიდან არაუადრეს 26-ე და არაუგვიანეს 30-ე დღისა სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო გასცემს დასკვნას.

---

# განცხადება
# საჯარო განხილვის შესახებ

## გზშ ანგარიშის საჯარო განხილვა -
## ზუგდიდის მუნიციპალიტეტში შპს „მშენებელი 2020“-ის სასარგებლო წიაღისეულის გადამამუშავებელი (სამსხვრევ-დამხარისხებელი) საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილების (ასფალტისა და ბლოკის საწარმოო ხაზების დამატება) პროექტი

გადაწყვეტილების მიმღები უფლებამოსილი ორგანოა სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო. საჯარო განხილვის ორგანიზატორია სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი.

დაგეგმილი საქმიანობის გზშ ანგარიშის საჯარო განხილვის დრო და ადგილი: 2024 წლის 24 აპრილი, 15:00 საათი, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფ. ჯუმის საბავშვო ბაღის შენობა

საჯარო განხილვა ღიაა. მონაწილეობის, შენიშვნებისა და მოსაზრებების წარდგენის უფლება აქვს საზოგადოების ნებისმიერ წარმომადგენელს. წარმოდგენილ დოკუმენტაციასთან დაკავშირებით წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები შეგიძლიათ გაუგზავნოთ სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს 2024 წლის **20 მაისის** ჩათვლით მისამართზე: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზირი №150 ან ელ-ფოსტაზე: eia@mepa.gov.ge (გამოგზავნისას მიუთითოთ ადრესატი: სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს). მოთხოვნის შემთხვევაში, წარმოდგენილი დოკუმენტაციის ნაბეჭდი/მატერიალური ვერსიის ხელმისაწვდომობას უზრუნველყოფს სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი. საჯარო განხილვასთან დაკავშირებით მიმართეთ განათლების ცენტრს (ტელ: 0322 112023, ელ-ფოსტა: ph@eiec.gov.ge, მის: ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის გამზირი №32გ).

**განცხადების რეგისტრაციის თარიღი: 2024 წლის 13 მარტს.** განცხადების რეგისტრაციიდან არაუადრეს 51-ე დღისა და არაუგვიანეს 55-ე დღისა სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო გასცემს გარემოსდაცვით გადაწყვეტილებას.

---

# განცხადება
# საჯარო განხილვის შესახებ

## სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვა -
## სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ ჯვარი-წყალტუბოს 500 კვ-იანი ელექტროგადამცემი ხაზისა და ქვესადგურის მშენებლობა და ექსპლუატაცია (სოფელ ბალდის მიმდებარე მონაკვეთი - ანძები №66-დან №108-ის ჩათვლით - 14.8 კმ) პროექტი

გადაწყვეტილების მიმღები უფლებამოსილი ორგანოა სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო. საჯარო განხილვის ორგანიზატორია სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი.

დაგეგმილი საქმიანობის სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვის დრო და ადგილი:

2024 წლის 4 აპრილი, 16:00 საათი, მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფ. ინჩხურის ადმინისტრაციული ერთეულის შენობა

2024 წლის 5 აპრილი, 12:00 საათი, მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფ. სალხინოს კულტურის სახლის შენობა

**2024 წლის 5 აპრილი, 15:00 საათი, მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფ. ბალდის საჯარო სკოლის შენობა**

საჯარო განხილვა ღიაა. მონაწილეობის, შენიშვნებისა და მოსაზრებების წარდგენის უფლება აქვს საზოგადოების ნებისმიერ წარმომადგენელს. წარმოდგენილ დოკუმენტაციასთან დაკავშირებით წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები შეგიძლიათ, გაუგზავნოთ სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს 2024 წლის **8 აპრილის** ჩათვლით მისამართზე: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზირი №150 ან ელ-ფოსტაზე: eia@mepa.gov.ge (გამოგზავნისას მიუთითოთ ადრესატი: სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს). მოთხოვნის შემთხვევაში, წარმოდგენილი დოკუმენტაციის ნაბეჭდი/მატერიალური ვერსიის ხელმისაწვდომობას უზრუნველყოფს სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი. საჯარო განხილვასთან დაკავშირებით მიმართეთ განათლების ცენტრს (ტელ: 0322 112023, ელ-ფოსტა: ph@eiec.gov.ge, მის: ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის გამზირი №32გ).

**განცხადების რეგისტრაციის თარიღი: 2024 წლის 11 მარტს.** განცხადების რეგისტრაციიდან არაუადრეს 26-ე და არაუგვიანეს 30-ე დღისა სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო გასცემს დასკვნას.

◉ რაგბი ჩვენი თამაშია!




# ბორჯღალოსანთა მე-16 გაელვება

**რაგბი ევროპის ჩემპიონატის ფინალში საქართველოს ნაკრებმა პარიზში პორტუგალია დაჯაბნა და ადვილად, 36:10 მოიგო.**

შედეგად, „ბორჯღალოსნებმა“ მსოფლიოს ჩემპიონატზე პორტუგალიასთან ფრისთვის რევანშიც აიღეს. რიჩარდ კოკერილის გუნდმა მეტოქეს ყველაფერში აჯობა და დამაჯერებლადაც მოიგო.

პირველ ტაიმში ლუკა მატკავამ ოთხი ჯარიმა გაიტანა, რასაც მეტოქემ ერთით უპასუხა – 12:3.

მეორე ნახევარში აკაკი ტაბუცაძემ დუბლი შეასრულა, ხოლო თითო ლელო ვანო კარკაძემ და მიხეილ ალანიამ მიითვალეს, საიდანაც მატკავამ ორი გარდასახა ზუსტად და ყველაფერი გადაწყდა. პორტუგალიამ ბოლოსკენ მოახერხა პრესტიჟის ლელოს დადება და საბოლოოდ, „ბორჯღალოსნებმა“ 36:10 მოიგეს.

საქართველოს ნაკრებმა რაგბი ევროპის ტურნირი ისტორიაში მე-16-ედ და ზედიზედ მეშვიდედ მოიგო.

◉ ჩემპიონი

# სამშობლო გულში იხუტებს




**18 მარტს თბილისის აეროპორტში დაეშვა თვითმფრინავი, რომელსაც UFC-ის ქართველი ჩემპიონი ილია თოფურია ჩამოჰყვა. იგი საქართველოში პრემიერ-მინისტრ ირაკლი კობახიძის მოწვევით ჩამოვიდა.**

ილიას აეროპორტის გამოსასვლელში უამრავი გულშემატკივარი თუ მედიის წარმომადგენელი დახვდა.

შეგახსენებთ, რომ 16 თებერვალს ქამრისთვის ბრძოლაში 27 წლის ქართველმა მებრძოლმა ავსტრალიელი ალექსანდერ ვოლკანოვსკი დაამარცხა.

ილია თოფურიასთვის ეს MMA-ში ზედიზედ მე-15 გამარჯვება იყო, მას ჯერ კარიერაში არ წაუგია. რაც შეეხება ვოლკანოვსკის, ავსტრალიელს ქვემსუბუქ წონაში საჩემპიონო ქამარი ზედიზედ ხუთჯერ ჰქონდა დაცული.

თოფურია ქამრის მოგების შემდეგ სამშობლოში პირველად ჩამოვიდა და ქამარიც თან ჩამოიტანა.

ცნობილია, რომ 21 მარტს, საქართველო-ლუქსემბურგის მატჩის დაწყებამდე ილია თოფურია ქამარს „დინამო არენაზე“ გულშემატკივრებს წარუდგენს.

◉ ევროპის ზღურბლთან



## გურამ კაშია:

# „წინ საინტერესო კვირა გველოდება, ფეხბურთი საქართველოს აერთიანებს“

საქართველოს ნაკრების კაპიტანმა **გურამ კაშიამ** შეკრების პირველ დღეს კომენტარი გააკეთა.

**„ძალიან მნიშვნელოვანი თამაშები გველის. მთავარია, ყველა ჯანმრთელად შევხვდეთ ლუქსემბურგთან მატჩს. ერთმანეთი გვჭირდება ყველას ასეთი მნიშვნელოვანი თამაშის წინ. ეჭვი არ მეპარება, რომ ყველა ერთად ვიქნებით. ფეხბურთი აერთიანებს საქართველოს. ვფიქრობ, საინტერესო ერთი კვირა გველის და მინდა მივმართო გულშემატკივარს, რომ ისევ ისე გვიგულშემატკივრონ, როგორც აქამდე გვიჭერდნენ მხარს“,** – თქვა **კაშიამ.**

საქართველო ლუქსემბურგის ნაკრებს ხვალ თბილისში, „დინამო არენაზე“ უმასპინძლებს. ამ წყვილში გამარჯვებული გუნდი 26 მარტს, ფინალში საბერძნეთსა და ყაზახეთს შორის უმჯობესს შეხვდება.

◉ სერია „ა“



## ფრანჩესკო კალცონა:

# „დრო ცოტაა, ყველა პრობლემის მოსაგვარებლად ჯადოქარია საჭირო“

„ნაპოლის“ მთავარმა მწვრთნელმა **ფრანჩესკო კალცონამ** „ინტერთან“ მატჩის (1:1) შემდეგ კომენტარი გააკეთა. როგორც მან თქვა, ყველა დეტალზე სამუშაოდ დრო არ აქვთ და ყველა პრობლემის მოსაგვარებლად ამ სიტუაციაში ჯადოქარია საჭირო.

**„ყველა პრობლემის მოსაგვარებლად ჯადოქარია საჭირო, რადგან ძალიან ბევრს ვთამაშობთ და ცოტას ვვარჯიშობთ. ვცდილობთ დაცვით ფაზას მეტი ყურადღება მივაქციოთ, ვიდრე შეტევას, რადგან ამას მეტი დრო სჭირდება. თუმცა, კარამდე ახლოს მივდივართ, მხოლოდ დასრულება გვიჭირს. ჩემი გუნდით კმაყოფილი ვარ. შეუიარაღებელი თვალითაც ჩანს, რომ გვიჭირს შეტევის დაგვირგვინება, დრო ცოტა გვაქვს და ყველაფრის მოგვარება რთულია. 24 დღეში 6 მატჩი გვქონდა, თუ აღდგენის დღეებსაც გავითვალისწინებთ, ტაქტიკურად სამუშაოდ მხოლოდ 6-7 ვარჯიში გვქონდა. ჩვენთვის ეს არ არის ალიბი, მაგრამ ობიექტური ფაქტია. დროა საჭირო ყველაფრის დასალაგებლად. ბევრი საქმე მაქვს და ოჯახთან სალაპარაკოდაც არ მაქვს დრო.**

**პატარა შვილი მყავს, რომელსაც დღეში ერთხელაც ვერ ვესაუბრები. არ მაინტერესებს რას ამბობენ ჩემს მომავალზე, სლოვაკეთის ფეხბურთის ფედერაციასთან კონტრაქტი 2025 წლამდე მაქვს, პირველად მათ გამომიცხადეს ნდობა, ამიტომ მათ პატივს ვცემ.**

**„ინტერთან“ კარგად ვითამაშეთ, წარმოუდგენელი იყო იმაზე ფიქრი, რომ აქ ჩამოვიდოდით და არ გაგვიჭირდებოდა. თუმცა, რეალურად მხოლოდ 10 წუთი გაგვიჭირდა, მოვახერხეთ გათანაბრება გუნდთან, რომელსაც ზედიზედ 10 მოგება ჰქონდა. გარდა ამისა, მოგებაც ვცადეთ და ეს დამოკიდებულება სწორია. დრო ცოტაა ყველა დეტალზე სამუშაოდ, მაგრამ ამ გუნდს ვენდობით და ვბრუნდებით, გუნდი იზრდება და გვინდა, რომ სეზონის ფინალური ნაწილი მაღალ დონეზე ჩავატაროთ“,** – თქვა **კალცონამ.**

შეგახსენებთ, რომ „ნაპოლი“ 45 ქულით მეშვიდე ადგილზეა, მომდევნო ტურში კი 30 მარტს, ბერგამოს „ატალანტას“ საკუთარ მოედანზე დაუპირისპირდება.

◉ კარატე

# დიდებული ნადავლით

**ამ დღეებში იტალიის ქალაქ ლეკოში გაიმართა ყოველწლიური საერთაშორისო ჩემპიონატი კარატეში „შავი ქამრის თასი“ (Black Belt Cup 2024), რომელშიც საქართველოს შოტოკან კარატე დოს კონფედერაციის გუნდმა წარმატებით იასპარეზა. ტურნირის ორგანიზატორი იყო მსოფლიოს ერთიანი კარატეს ფედერაცია (W.U.K.F). ამ პრესტიჟულ ტურნირზე, სადაც 20-მდე ქვეყნის 1500-მდე სპორტსმენი მონაწილეობდა, ქართველმა კარატისტებმა საერთო ჯამში 7 მედალი მოიპოვეს: 1 ოქრო, 4 ვერცხლი და 2 ბრინჯაო!**

წარმატებით იასპარეზა 11 წლის **ანდრია საათაშვილმა**, ევროპის ორგზის და მრავალი საერთაშორისო ტურნირის გამარჯვებულმა. ამჯერად, მან კარატეს საერთაშორისო ჩემპიონატზე 11 წლის ბიჭებს შორის კუმიტეს აბსოლუტურ კატეგორიაში I ადგილი და ოქროს მედალი დაისაკუთრა. ამ შედეგის გარდა მანვე 2 ბრინჯაოს მედალი აიღო ინდივიდუალური კუმიტეს +45 კგ წონით კატეგორიასა და ინდივიდუალურ კატაში.

უფროსებს შორის ინდივიდუალური კუმიტეს აბსოლუტურ წონით კატეგორიაში ვერცხლის მედალი აიღო **ჯაბუკა მახარაძემ,** მსოფლიოს ოთხგზის და ევროპის ხუთგზის ჩემპიონმა, ასევე მრავალი საერთაშორისო ტურნირის გამარჯვებულმა, შავი ქამრის V დანის მფლობელმა. საერთაშორისო ტურნირზე პირველად მიიღო მონაწილეობა **ელენე ბობოხიძემ,** რომელმაც 8-9 წლის გოგონებს შორის ინდივიდუალური კუმიტესა და კატას დისციპლინებში დამაჯერებლად იასპარეზა და ერთბაშად 3 ვერცხლის მედალს დაეუფლა.

**ჯაბუკა მახარაძე:** – „შავი ქამრის თასი“ (Black Belt Cup 2024) შოტოკან კარატეში ტრადიციული საერთაშორისო ჩემპიონატია, რომელიც წელს იტალიაში მილანთან ახლოს მდებარე ქალაქ ლეკოში (Lecco) გაიმართა. ამ ტურნირზე მე უკვე მესამედ, კვლავ წარმატებით მივიღე მონაწილეობა და მინდა გითხრათ, რომ წელსაც ჩემპიონატი ძალიან მაღალ დონეზე იყო ორგანიზებული, ორი დღე დიდ სპორტულ კომპლექსში ერთდროულად 6 ტატამზე მიდიოდა ასპარეზობები. ამ ჩემპიონატზე უფროსებს შორის კუმიტეს აბსოლუტურ კატეგორიაში გამოსვლისას 3 წრე გავიარე: პირველ ორთაბრძოლაში 3:0 დავამარცხე სამუელ რამანესი (რუმინეთი), მეორე წრეში 5:1 მოვუგე ლუკა მარკონის (იტალია), მესამე წრეში 4:5 დავმარცხდი იტალიელ სპორტსმენთან პაულო სიმიონესთან, არადა ბრძოლა თანაბარი ძალებითა და უპირატესობით წარიმართა და სულ ცოტა დამაკლდა პირველ ადგილამდე, – ტატამზე ასე ვთქვათ, დრო არ მეყო და ასე დავჯერდი ვერცხლის მედალს. აღსანიშნავია, რომ ასეთ საერთაშორისო ჩემპიონატებზე ყველა სპორტსმენი მაღალი პროფესიონალიზმით არის გამორჩეული, მაღალ დონეზე არიან ხოლმე მომზადებულები, კონკურენციაც დიდია და მეც სულ ვცდილობ, რომ ჩვენი ქვეყნის სახელი ღირსეულად გავიტანო.



იტალიაში წარმატებით იასპარეზა ჩემმა მოსწავლემ, 11 წლის ანდრია საათაშვილმა, რომელსაც მიუხედავად იმისა, რომ ჩემი ინსტრუქტორობით მხოლოდ 4 წელია, რაც კარატეში ვარჯიშობს, საერთაშორისო ტურნირებზე უკვე სერიოზული წარმატებები აქვს და ამჯერადაც ნაყოფიერად იასპარეზა. ელენე ბობოხიძე 2 წელია კარატეში ვარჯიშობს ქუთაისში, მისი მწვრთნელია ვაჟა უნგიაძე, უფროსი ინსტრუქტორი, შავი ქამრისა და VI დანის მფლობელი.

საერთო ჯამში, იტალიაში ამ დიდ საერთაშორისო ტურნირზე ბავშვებს ძალიან გაუხარდათ მაღალი სინჯის მედლების აღება. იმედი მაქვს, რომ ასე გავაგრძელებთ, რადგან ეს გამარჯვებები ჩემთვის და ჩემი გუნდისთვის არის ძალიან მნიშვნელოვანი, სტიმული, მეტი მოტივაცია, რომ მომავალში კვლავ ღირსეულად ვიასპარეზოთ და საქართველო ვასახელოთ. ამ ტურნირზე როგორც საქართველოს დელეგაციის ხელმძღვანელს გადმომეცა სპეციალური პრიზი შეჯიბრის საორგანიზაციო ჯგუფისგან, სპორტული კარატეს კავშირისა და იტალიაში WUKF-ის ოფიციალური წარმომადგენლის გვიდო როსინის მიერ. 2009 წლიდან მე ვარ World Union of Karate-Do Federations (WUKF)-ის ოფიციალური წარმომადგენელი საქართველოში, შესაბამისად, ამ ფედერაციის ორგანიზებულ საკონტინენტთაშორისო შეკრებებზე, სემინარებზე, საერთაშორისო ტურნირებსა და ჩემპიონატებზე მუდმივად ვმონაწილეობ და აღებული მაქვს ყველა სინჯის უამრავი მედალი.



# დიდი არქეოლოგის ღირსეულად განვლილი გზა

## აკადემიკოს კონსტანტინე ფიცხელაურის ხსოვნას

გარდაიცვალა გამოჩენილი ქართველი მეცნიერი, არქეოლოგი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი კონსტანტინე (კიაზო) ფიცხელაური.

კონსტანტინე ფიცხელაური 1930 წლის 30 ნოემბერს, თბილისში, მოსამსახურის ოჯახში დაიბადა. მან თბილისის მე-7 ვაჟთა სკოლა 1948 წელს დაამთავრა. 1949 წელს შევიდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტზე საქართველოს ისტორიის სპეციალობით, რომელიც 1953 წელს წარმატებით დაამთავრა. უნივერსიტეტში სწავლისას დაიწყო კახეთის არქეოლოგიური ძეგლების დაზვერვითი შესწავლა. 1954-1957 წლებში გაიარა ასპირანტურის კურსი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტში პროფ. ა. კალანდაძის ხელმძღვანელობით. 1959 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია და მუშაობა დაიწყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტში, სადაც აგრძელებდა კახეთის არქეოლოგიური ძეგლების შესწავლას. 1992 წელს დაიცვა სადოქტორო დისერტაცია და კახეთის არქეოლოგიური ექსპედიციის მუშაობაში ჩართო საარბრიუკენის, ჰალეს და ტიუბინგენის უნივერსიტეტების სპეციალისტთა ფართო წრეები, რის შედეგადაც ამ სამუშაოების სამეცნიერო ანგარიშები სისტემატურად ქვეყნდებოდა გერმანიის პერიოდულ გამოცემებში. ამ პერიოდში საგანგებო მიწვევით ლექციებს კავკასიის არქეოლოგიაზე სამი წლის განმავლობაში, როგორც სრული პროფესორი, კითხულობდა ტიუბინგენის უნივერსიტეტში. 2006 წლიდან იგი იყო ილია ჭავჭავაძის უნივერსიტეტის სრული პროფესორი, 2009 წლიდან კი — პროფესორი ემერიტუსი.

კ. ფიცხელაური აგრძელებდა საველე სამუშაოებს კახეთში ამერიკის, შვედეთის, გერმანიისა და ბალტიისპირეთის სამეცნიერო ცენტრებთან ერთად. მისი კვლევის ძირითადი მიმართულება იყო კავკასიის ბრინჯაოს ხანის კულტურების გაანალიზება თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით. ამ სამუშაოებმა შესაძლებელი გახადა ახლებურად დასმულიყო კავკასიის უძველესი კულტურების გააზრება — დაეახლოვებინა იგი მახლობელი აღმოსავლეთის ცივილიზაციებთან.

კ. ფიცხელაურმა თავისი სამეცნიერო გამოკვლევებით უდიდესი ყურადღება დაიმსახურა როგორც პოსტსაბჭოთა ქვეყნებში, ისე უცხოეთში, სადაც იგი კავკასიის სიძველეების ერთ-ერთ ყველაზე რეიტინგულ მეცნიერად ითვლებოდა.

2008 წლიდან იგი იყო საქართველოს ეროვნული მუზეუმის კონსულტანტი. მრავალმხრივი იყო კ. ფიცხელაურის მეცნიერული ინტერესების სფერო. ის მოიცავდა კავკასიის არქეოლოგიას, ბრინჯაოს ხანის კულტურათა გენეზისს, ქრონოლოგიას, პერიოდიზაციას, საქართველოში სახელმწიფოებრიობის სათავეების კვლევას არქეოლოგიური მასალების მიხედვით. კ. ფიცხელაური 155-მდე გამოქვეყნებული შრომის ავტორია. მათ შორისაა მონოგრაფიები, წიგნები, სახელმძღვანელოები, ლიცენზიები, პატენტები. ძირითადი სამეცნიერო შრომებიდან აღსანიშნავია: 1. იორ-ალაზნის აუზის ტერიტორიაზე მოსახლე ტომთა უძველესი კულტურა, თბ., „მეცნიერება“, 1965; 2. აღმოსავლეთ საქართველოს ტომთა ისტორიის ძირითადი პრობლემები (ძვ. წ.XV-XVII ს.ს.) რეზიუმე რუსულ და ინგლისურ ენებზე, „მეცნიერება“, თბ., 1973; 3. Восточная Грузия в конце бронзового века, ткаэ, „Мецниереба“' Тб. 1979; 4. გადრეკილის არქეოლოგიური ძეგლები. კახეთის არქეოლოგიური ექსპედიციის შრომები, V, რუსული და ინგლისური რეზიუმეთი, თბ., 1982 (თანაავტორი — ც. მენაბდე).

კ. ფიცხელაური გამორჩეული ადამიანური თვისებების მქონე პიროვნება იყო. მან მნიშვნელოვანი კვალი დატოვა ქართულ მეცნიერებაში. მისი ნათელი ხსოვნა მარად დარჩება კოლეგების, მეგობრების და ახლობლების გულში.

**საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია, საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილება.**

---

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა გამოჩენილი ქართველი მეცნიერი, არქეოლოგი, აკადემიკოსი

## კონსტანტინე (კიაზო) ფიცხელაური

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

პანაშვიდი 20 მარტს, 17 სთ. გამოსვენება — 21 მარტს, 14 სთ. საბურთალოს წმ. ბარბარეს ეკლესიიდან (ხილიანის ქ., ბავშვთა ინფექციური საავადმყოფოს მიმდებარე ტერიტორია).



# ვახტანგ ონიანი

საქართველოს მხატვართა კავშირმა კიდევ ერთი აუნაზღაურებელი დანაკლისი განიცადა, გარდაიცვალა საქართველოს დამსახურებული მხატვარი (1967 წ.), „ღირსების“ ორდენის კავალერი (2002 წ.), საქართველოს მხატვართა კავშირის წევრი, ღვაწლმოსილი მხატვარი-მოქანდაკე ვახტანგ ონიანი.

დაიბადა 1932 წელს ლენტეხის რ-ნის სოფ. ჟახუნდერში. 1957 წელს დაამთავრა აპოლონ ქუთათელაძის სახელობის თბილისის სამხატვრო აკადემიის ქანდაკების ფაკულტეტი. მისი პედაგოგები იყვნენ: კ. მერაბიშვილი, ს. ქობულაძე, ს. კაკაბაძე. სადიპლომო ნამუშევარი იყო „ქალი რგოლით“ (ხელმძღვანელი კ. მერაბიშვილი). 1957 წლიდან მონაწილეობს თბილისსა და მსოფლიოს მრავალ ქალაქში მოწყობილ გამოფენებში; გააფორმა საქართველოს სექცია ალჟირის საერთაშორისო ბაზრობაზე (1967, დაჯილდოვდა ოქროს მედლით) და საქართველოს პავილიონი — იზმირის საერთაშორისო ბაზრობაზე (1968) და მრავალი სხვ.

ვახტანგ ონიანის ძირითადი ნამუშევრებია — „მოლოდინი“, ბიჭვინთა, „გაქვავებული ცრემლი“, „სვანი გოგონა“ (ორივე 1958), „მახვში“ (1967), „ამირანი“, მონუმენტი. სიღნაღი (1980 წ.), „ცოდნის სვეტი“ თბილისი, (1981), „მიხეილ ხერგიანის ბიუსტი“ მესტიაში ხერგიანის სახლ-მუზეუმთან; დაზგური ქანდაკება — „კაცი ლაშხეთიდან“, „ქალიშვილის პორტრეტი“ და სხვ. ბატონი ვახტანგი წარმატებით მუშაობდა გრაფიკაშიც. მისი გრაფიკული ნამუშევრებია: „მეუღლის პორტრეტი“ (1965), „წითელი ღრუბლები“ (1967) და სხვ. მხატვრულად გააფორმა ქართული ხალხური ეპოსის ნიმუშები: „გივარგილ“, „ამირანი“, „ბეთქილ“, „ლადლერი“, „დალის საუფლო“.

ბატონი ვახტანგი ავტორია რამდენიმე მხატვრული ნაწარმოებისა, მათ შორის: „ოქროს ხანა“, „თეთრი მერცხლების გადაფრენა ანუ...“ და სხვ.

1960-1961 წლებში მუშაობდა ჟურნალ „დროშის“ მთავარ მხატვრად; 1964-1980 — წლებში ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტის მთავარ მხატვრად.

მისი ბიოგრაფია და ნამუშევრები დასტამბულია „ქართულ ენციკლოპედიაში“, თანამედროვე ქართველ მხატვართა და ხელოვნებათმცოდნეთა ბიოგრაფიულ ლექსიკონში „ვინ ვინაა თანამედროვე ქართულ ხელოვნებაში“, ვახტანგ ბერიძის წიგნში: „ქართული ხელოვნება“, „მსოფლიო ხელოვნების ისტორია“, სამხატვრო გამოფენების კატალოგებში, და სხვ.

ბატონ ვახტანგ ონიანის ნამუშევრები დაცულია ხელოვნების მუზეუმების გალერეების, კულტურის სამინისტროს ფონდებში და საქართველოსა და უცხოეთის ქვეყნების კერძო კოლექციებში.

ქართველი საზოგადოება, საქართველოს მხატვართა კავშირი, კოლეგები, მისი ხელოვნების თაყვანისმცემლები დიდი მწუხარებით ეთხოვება ღვაწლმოსილ ხელოვანს, კეთილშობილ პიროვნებას ბატონ ვახტანგ ონიანს, რომლის ხსოვნაც სამარადჟამოა, ხოლო მისი შემოქმედებითი მემკვიდრეობა მნიშვნელოვანი შენაძენია ქართული ხელოვნებისთვის.

**საქართველოს მხატვართა კავშირი**

---

ანზორ ბურჯანაძე, ნუგზარ ფოფხაძე, დავით სალარიძე, გრიგოლ ონიანი ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა საქართველოს სახალხო მხატვარი, უკეთილშობილესი პიროვნება, დიდი შემოქმედი, ქართული ქანდაკების დიდოსტატი, პატრიოტი და მამულიშვილი

## ვახტანგ ონიანი

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს, ახლობლებს და სრულიად საქართველოს.

---

საქართველოს მეგზეევთა საზოგადოება იუწყება, რომ გარდაიცვალა ვეტერანი მეგზევე

## თამაზ აზანიშვილი

რომელიც უანგაროდ და კეთილსინდისიერად შრომობდა სხვადასხვა საგზაო ორგანიზაციებში საპასუხისმგებლო თანამდებობებზე. მათ შორის, მრავალი წელი იმუშავა ყოფილ საგზაო საპროექტო ინსტიტუტ „სოიუზ დორ პროექტში“. გულისტკივილით ვიზიარებთ ოჯახის წევრთა მწუხარებას და თანავუგრძნობთ მათ.

საქართველოს მეგზევეთა საზოგადოების თავმჯდომარე
**თამაზ შილაკაძე**

---



გივი მინდელის საზოგადოება ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ღირსეული პიროვნება, დიდი პროფესიონალი, წარმატებული მეწარმე და ბიზნესმენი, კოლორიტული თბილისელი, დიდი სამეგობროს თავკაცი, უკეთილშობილესი ადამიანი

## გია რამიშვილი

და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახსა და ახლობლებს

მეგობრების სახელით

**იმედა კახიანი, დავით დათოშვილი, ბონდო ქობულია, მერაბ მახარაძე, თამაზ გოგინაშვილი, გია მახარაძე.**

# საქართველოს ჩემპიონს მოქალაქეობა უნდა შეუნარჩუნდეს!

**პრემიერ-მინისტრი ირაკლი კობახიძე იუსტიციის სამინისტროსა და პრეზიდენტს მიმართავს, ილია თოფურიასთვის საქართველოს მოქალაქეობის შესანარჩუნებლად ყველაფერი გაკეთდეს.**



როგორც პრემიერმა UFC-ის ჩემპიონთან, ილია თოფურიასთან შეხვედრისას აღნიშნა, ესპანეთის მოქალაქეობის მინიჭების პარალელურად მნიშვნელოვანია, რომ მას შეუნარჩუნდეს საქართველოს მოქალაქეობა.

მთავრობის მეთაურმა სპორტსმენს გამარჯვება მიულოცა და აღნიშნა, რომ საქართველოსა და ქართველი ხალხისთვის მისი გამარჯვება ძალიან საამაყო და მნიშვნელოვანია. ირაკლი კობახიძე ილია თოფურიას სამომავლო გეგმებითაც დაინტერესდა და წარმატებები უსურვა.

UFC-ის ჩემპიონი, რომელიც საქართველოში პრემიერ-მინისტრის მოწვევით ჩამოვიდა, 21 მარტს საქართველო-ლუქსემბურგის საფეხბურთო მატჩზე, საჩემპიონო ქამარს წარადგენს.

## აშშ-ში ქართული ეკოტურისტული და სათავგადასავლო მიმართულებებით დაინტერესდნენ

დაცული ტერიტორიების სააგენტო აშშ-ში, საერთაშორისო სათავგადასავლო ტურისტულ გამოფენაზე – Travel and Adventure Show 2024 იყო წარმოდგენილი. მასშტაბურ ღონისძიებას გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე იური ნოზაძე დაესწრო.

**„მსგავსი მასშტაბის გამოფენაში მონაწილეობა არის მნიშვნელოვანი შესაძლებლობა საქართველოს და მისი უნიკალური ბუნების პოპულარიზაციისთვის, ასევე, ქვეყანაში საერთაშორისო ვიზიტორების აქტიური მოზიდვის ხელშეწყობისთვის. გამოფენაში მონაწილეობას იღებენ მსოფლიოს წამყვანი ტურისტული კომპანიები; ჩვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, აღნიშნულ კომპანიებს სწორად მივაწოდოთ ინფორმაცია საქართველოს ეკოტურისტული პოტენციალის შესახებ“,** – აღნიშნა გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილემ **იური ნოზაძემ.**



დაინტერესებულ პირებს შესაძლებლობა ჰქონდათ, ამომწურავი ინფორმაცია მიეღოთ საქართველოს დაცულ ტერიტორიებზე, ვირტუალური სათვალეების საშუალებით გასცნობოდნენ საქართველოს უნიკალურ ბუნებას. Travel and Adventure Show ტურიზმის სფეროში მსოფლიო მასშტაბის ღონისძიებაა. 19-წლიანი ისტორიის განმავლობაში, აღნიშნულმა გამოფენამ დააკავშირა 2,5 მილიონზე მეტი მოგზაურობის მოყვარული, 15 000-ზე მეტი ტურისტულ სექტორში მოღვაწე კომპანია და ათასობით სამოგზაურო მედია და მარკეტინგული არხი.

## სკოლის ძველი ფოტოთი გაცოცხლებული მხატვრის ტილოები

**კულტურის ცენტრი „ათინათი“ ქართული თანამედროვე ხელოვნების ერთ-ერთი გამორჩეული წარმომადგენლის ვახო ბუღაძის გამოფენას მასპინძლობს.**

სკოლის ძველი ფოტო, რომელიც მხატვარმა თავის არქივში აღმოაჩინა, ნამუშევრების სერიად იქცა. ექსპოზიცია ბოლო ერთი წლის განმავლობაში შექმნილ 60-მდე ნამუშევარს აერთიანებს.





## „დიდგორის“ ტრიუმფი ევროპაში

**შვეიცარიაში ანსამბლ „დიდგორის“ ტურნე ტრიუმფით დასრულდა. ოსლოსა და ბაზელში მათ სოლო კონცერტები გამართეს, ხოლო ამერსფორტში ანსამბლ „საქართველოსთან“ და ქართულ ანსამბლთან ერთად იმღერეს.**

ანსამბლ „საქართველოს“ წევრები ქართულ ხალხურ სიმღერაზე შეყვარებული უცხოელები არიან და მას ქეთევან წიკლაური ხელმძღვანელობს. კონცერტებზე სრული ანშლაგი იყო. დიდი ინტერესის გამო, ორგანიზატორებმა ოსლოში ფეხზე დგომის ბილეთები დაამატეს და მათ შესაძენად სალაროსთან ადგილობრივების გრძელი რიგი იდგა.

## მეთოჯინეთა „ცისფერი კოცონი“ ქუთათურთა სცენას დაუბრუნდა



**ქუთაისის იაკობ გოგებაშვილის სახელობის პროფესიულ სახელმწიფო თეატრში საპრემიერო დღეებია. მეთოჯინეებმა წარმოადგინეს ჰექტორ მალოს „უსახლკაროს“ მოტივებზე შექმნილი ერთმოქმედებიანი სპექტაკლი „ცისფერი კოცონი“. დამდგმელი რეჟისორი ეკატერინე სირაძეა.**

მონაწილეობენ მსახიობები: ბაქარ დეისაძე, აბელ სოსელია, გიორგი ქართველიშვილი, ავთანდილ ჩიქვილაძე, ნინო შეყლაშვილი, ზაზა იოსებაშვილი, მანუჩარ ბეგალიშვილი.

**„განსაკუთრებული ემოცია მაქვს დღეს „ცისფერი კოცონის“ მიმართ. დიდი პაუზის შემდეგ, ახალი სიცოცხლით, გაახლებული ვერსიით, მუსიკით, განათებით რენე კვლავ დაუბრუნდა სცენას. პიესა ფრანგი მწერლის, ჰექტორ მალოს ნაწარმოების, „უსახლკაროს“ მოტივზეა შექმნილი. მადლობა შემოქმედებით გუნდს. მიხარია, რომ პრემიერა წარმატებით შედგა“,** – აცხადებს დამდგმელი რეჟისორი **ეკატერინე სირაძე.**

სპექტაკლი დაფინანსებულია კულტურის და სპორტის სამინისტროს მიერ. თეატრი უკვე ემზადება შემდეგი პრემიერისთვის. რეჟისორმა ელენე მაცხონაშვილმა ახალ სპექტაკლზე დაიწყო მუშაობა.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ა.წერეთლის №116 (დიდუბე პლაზა)

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
599 36-00-35

მთავარი რედაქტორის მოადგილე
მამუკა ვაშაკიძე
597-22-07-04

ტექნიკური რედაქტორი
კახა ქორიძე

შემოქმედებითი ჯგუფი:
ალეკო ასლანიშვილი
გია პლატონიშვილი
ოთარ ტურაბელიძე

სტილისტ-კორექტორები:
ნაირა კეკელია,
მაია იორამაშვილი,

ოპერატორი
ზორენა გვილია

რეკლამის მენეჯერი:
577-77-27-17
rkobulia29@gmail.com
ანგარიშის ნომერი
GE90BG0000000538329790

გამომცემელი:
შპს 100 – ახალი „საქართველოს რესპუბლიკა“
გაზეთ „ საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 36-00-35

იბეჭდება სტამბა
„კოლორში“
ე. ბაღდავაძის №3

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323

2 009882 616932

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.

**გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა ხვალ, 21 მარტს**

**უცხოური ვალუტის კურსი:**
აშშ დოლარი - 2.6576; ევრო - 2.8949;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.3884;
100 რუბლი - 2.9277; თურქული ლირა - 0.0838;
აზერბაიჯანული მანათი - 1.5629;
1000 სომხური დრამი - 6.5883

**ამინდი 20 მარტისთვის**

| | | | |
|---|---|---|---|
| **აღმოსავლეთი საქართველო:** | | | |
| ბარი - | ღამე | +1, | დღე +13 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | –1, | დღე +10 |
| **დასავლეთი საქართველო:** | | | |
| ბარი - | ღამე | +3, | დღე +14 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | +1, | დღე +10 |
| თბილისი: | ღამე | +5, | დღე +12 |

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 599-36-00-35, 577-77-27-17
ელ. ფოსტა: sakresp@top.ge
და sakresp@mail.ru
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge